საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 35 აგვისტო 29 1899 წ. № 35

შინაარსი: ქართლი ნ. ყორდანიასი.—სხვა და-სხვა ამბები.—„კვალის“ კორესპონდენციები.—დრეიფუსის საქმე—რა გააკეთე?! ლექსი ვ. გ—სა.—პასუხის პასუხი (დასასრული) ივ. გომართელისა.—სოფლის ცხოვრება სოფლელისა.—წერილი რედაქციის მიმართ.—და საქველმოქმედო საქმე

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

№ VII & VIII „ეჟეჟილისა“ გამოვიდა და დაფურიგდა ხელის მომწერლებს.

ქ ა რ თ ლ ი.

ისაც ჩემი სიყმაწვილე არ უნახავს, ჩემი სიბერეც ღმერთმა ნუ ანახვოსო—ამბობს ხალხის სიბრძნე და მეც სწორეთ ეს ანდაზა მომაგონდა, როცა წელს ქართლის სოფლებს ვათვალიერებდი. ქართლი—ეს ჩვენი ქვეყნის გული, ეს ერთხელ მოწინავე დროშის მატარებელი, მუდამ ფხიზელი და საქართველოსთვის თავდადებული, დღეს რამდენიმეთ წაბარძიკებულა და, სუსტათ მყოფ ბუმბერაზივით, მიძინებულა. ის ერთხელ მოძრავი და მომქმედი, მამაცი და აბობოქრებული, დღეს უძრაობას მოუცავს და აუჩქარებლათ ელოდება იმ დროს, როცა ის ხელახლა წამოდგება, წელში გაიმართება და ახალ ცხოვრებაში ახლანდურათ მოეწყობა. ის, რითაც წინეთ ქართლი ქართლობდა, დღეს მისი ბორბლის შემაჩერებლათ გამხდარა, ის, რითაც წინეთ ქართლი წინ მიდიოდა, დღეს უკან დასახევ იარაღათ გადაქცეულა. და აი, ამ მხრით შეიძლება ითქვას, რომ სიჭაბუკეში სახელოვანი ქვეყანა, ამ ხანათ მოხუცებაში შესულა, მოხუცებაში არა თავისი მცხოვრებთა წლოვანებით, არა ხალხთა ასაკოვნებით, არა ახალი და ძველი თაობით, არამედ თავისი წყობილებით, თავისი ნიეთიერი და ეონებრივი ურთიერთობით. ის წყობა, რომელიც დღეს აქ სუფევს, უეჭველია საჭირო იყო ქართლისათვის მაშინ, როცა ის წარმოიშვა და განვითარდა. მაგრამ, შეიცვალა გარემოება, გადასხვაფერდა მოთხოვნილება, გადახალისდა ქვეყნიერება; და ამ შეცვლილ ატმოსფერაში, ამ ახალ ხალხში ისევ ის ძველი წყობა, ისევ ის ძველი დამოკიდებულობა აღმართულა. ეს რკალივით შემოჭედია ცხოვრებას და მისი ცხოველმყოფელი ძალა, მისი ახალი ყლორტი დაუჩრდილავს, დაუმალავს და კაცს ჰგონია, აქ ალარაფერი დარჩენილა სასიცოცხლო, აქ ყოველივე ჩამქრალა და მისი გამობრუნებაც შეუძლებელიაო. მარა, არა, წყობილების მოხუცება არ ნიშნავს ხალ-

ხის, საზოგადოების მოხუცებას; ის მას ისე გადაიძრობს და გამოიცვლის, როგორც თითოეული ჩვენგანი სამოსელს გამოიცვლის ხოლმე. თანამედროვე ხალხი იძულებულია ასე მოიმოქმედოს და მით განახლდეს, გასპეტაკდეს და თავისი სიჭაბუკე ისევ დაიბრუნოს. მთელი ჩვენი ქვეყანა დღეს ამის მუშაობაშია, ამ გაახალგაზდების პროცესშია და თუ მისი ერთი ნაწილი მეორეს უკან რჩება—ეს არ მოასწავებს უკან მყოფის სამუდამოთ მოწყვეტას და საერთო გზიდან გადახვევას. ქართლი, უეჭველია, უკან ჩამორჩენილ კუთხეთაგანია, მეორეთ გაყმაწვილების გზაზე ფეხი მაგრათ ვერ მოუკიდებია, მაგრამ შორს არ უნდა იყვეს ის ჟამი, როცა ისიც გვერდში ამოუდგება დანარჩენ თავის მოძმეებს და ხელი-ხელ ჩაკიდებული ერთათ შეევლენ საკაცობრიო ოჯახში. და ეს ხანა დადგება მაშინ, როცა ქართლის აწინდელი მდგომარეობა გაცნობილი ექნება თითოეულ ჩვენგანს, შეგნებული ექნება თითონ ქართლს. აი, აქ მე მსურს ერთი პატარა წვლილი შევიტანო ამ თვით ცნობიერების საქმეში, მკითხველს გაეუზიარო ის, რაც ჩემი თვალით მინახავს და ყურით გამიგონია და იმედია ბოლომდის თავის ძვირფას ყურადღებას არ მომაკლებს. შეიძლება ბევრი რამ უსიამოვნო ვაუწყო, შეიძლება გულ გასატეხიც ბევრი გადავცე, მაგრამ მაინც ნუ დაეცემა სულით, ნუ დაჰკარგავს სასოებას, ნუ მიეცემა უიმედობას და სასოწარკვეთილებას. ახსოვდეს რომ ყოველიფე ეს წარმავალია და მხოლოთ მისი გაგებით მოვიახლოვებთ უკეთეს მომავალს...

I.

როგორც კი მიუახლოვდებით ქართლის სოფელს, მაშინვე შეამჩნევთ ერთ ან რამოდენიმე დიდ შენობას, ნაირ-ნაირათ მორთულ-მოკაზმულს, ხოლო დანარჩენთ კი მიყრილ-მოყრილს და უშნოთ მიროხვილ-მოროხვილს. პირველი ეკუთვნის ადგილობრივ მებატონეს, მეორე კი გლეხობას. ასე რომ თქვენ შორიდანვე ატყობთ ამ სოფლის წოდებრივ გათიშვას, მკაცრი საზღვრებით გაყოფას და ერთმანერთისაგან დაშორებას. გლეხთა სადგომების გროვას ამაყათ დაცქერის მაღლიდან ეს დიდი და შვენიერი სასახლე, როგორც ოდესმე ბატონის ციხე-დარბაზი მთელ ხეობას გადაჰყურებდა. და ეს მე ძრიელ მეუცხოვა, მეტის-მეტათ გამაცვიფრა. მართალია კაი სახლები ბევრი მინახავს და იმის გვერდით ცუდიც, მაგრამ არასოდეს არ მინახავს ერთი მხრით მხოლოთ კარგი და მეორის მხრით მხოლოთ ცუდი, ყოველგან არის ამათი შემაერთებელი ხიდი, რასაც საშუალოს უწოდებენ და რაც ახალი ცხოვრების ღვიძლი შვილია. ქართლში კი ყოველიფე ორ უკიდურეს სასწორზე დამდგარა, რამდენათაც შესანიშნავია ერთი მხარე, იმდენათ მიწასთან გასწორებულია მეორე. და ეს არა მარტო ნივთიერათ, არამედ გონებრივათაც... შევიდეთ სოფელში. მებატონის სასახლე, ჩვეულებრივათ, დგას მომაღლო ადგილას, მას გვერდით ან უკან უდგას ძველი ციხე ან კოშკი, რომელიც ისტორიულ ქარტეხილში სოფლის სიმაგრეს წარმოადგენდა და სადაც ახლანდელი მებატონის წინაპარი „ისტორიას ქმნიდა". ზოგ ალაგას ეს ძველი ნაშთი გადაუკეთებიათ, გაუთანამედროვებიათ, და სასახლეთ გადაუქცევიათ. ზოგან მხოლოთ გადაუხურავთ და საოჯახო საჭიროებისათვის გამოუყენებიათ, უფრო ხშირათ კი ის ისევ ისე დგას, უხმარათ და ხელუხლებლათ. ძლიერ იშვიათია სასახლე უციხოთ, ანა ამ ციხეს, იცოდეთ, ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს დღეანდელ ცხოვრებაშიაც. ის მუდამ ახსენებს სოფელს, რომ ამის ამშენებელნი და პატრონნი ამ სოფელს ფლობდენ, მტრისაგან იცავდენ და აი ამათი ჩამომავალია ახლანდელი ბატონი, რომელიც სოფელს ისევ ფლობს, ხოლო მტრისაგან კი აღარავის იცავს. ეს წარსულის მთელი ისტორიაა, ეს აწმყოს მთელი ფილოსოფიაა. მებატონე, ეს ძველი დიდების ნაყოფი, ცხოვრობს თანამედროვულათ, ევროპიულათ, მის სასახლეში ვერაფერს ნახავთ ძველებურს გარდა საომარი და საქეიფო იარაღებისა, როგორც მაგ. ძველი, კაჟიანი თოფი, ძველი ხმალი და სხ. ერთ ალაგას წარმოდგენილი პაწია ზარბაზანიც კი ვნახე. ეს წარმოადგენს რკინის ეიწრო და მოკლე ლულას, ფეხებზე დასადგომს და ისე პატარაა, რომ გეგონება ზარბაზნის ნიმუშია და არა თითონ ზარბაზანია. [1]) ამას ზედ ერთვის ღვინის ჯამები, კულა, ყანწი და სხვა სამხიარულო თუ საკრავი იარაღები. (თარი, ჭიანური და სხ.). აი ქართლის მებატონის ძველებური სამკაული, დანარჩენი კი ყოველიფე ევროპიულია. ასე გაშინჯეთ, ერთ გვარად მიყრუებულ სოფელში ისეთი სახლი ვნახე, რის მზგავსი ქალაქშიაც კი იშვიათი სანახავია. ეს მეტათ საინტერესო შენობა ეკუთვნის აზნ. ვ. კალაბოზიშვილს, სოლოლაშენში.

მიეუბრუნდეთ ახლა გლეხის სადგომს. საზოგადოთ გავრცელებულია, რომ ქართველი გლეხი მი-

[1]) ეს და სხვა ასეთი ძველიან საინტერესო კოლექცია აქვს შენახული ბ. ივ. დავ. სულხანიშვილს, სოფ. ტირძნისში. ამათ შორის არის წამლით დახატული სურათები, რომელნიც წარმოადგენენ კავკასიის სხვა-დასხვა გუთხის ხალხთ (კასელი, იმერელი, ოსი, ხევსური, ჩერქეზი და სხ.). ეს რამოდენიმე საუკუნის დახატული უნდა იყოს. მხატვრის კანონობა არა ჩანს.

წაში ცხოვრობსო. ეს შეიძლება მართალი იყო ამ ათი ოცი წლის წინეთ, მაგრამ ახლა კი ეს ასე არ ითქმის. უმრავლესობა მიწიდან უკვე ამოსულა და წმინდა ჰაერზე მოსახლეობს. მხოლოთ უმცირესობა დარჩენილია ისევ ძველ სადგომებში და არას გზით თავის სოროებს არ შორდება. ამ ნაირათ, ქართველი ტეტია მიწაშიაც ცხოვრობს და მიწას ზევითაც. რანაირია პირველი ბინა? წარმოიდგინეთ ფერდო, გამოთხრილი ოთახის მზგავსათ და შიგნიდან რიყის ქვის კედელი ამოყვანილი, ხოლო სახურავი კი მიწა — სიმაღლით დედა-მიწასთან გასწორებული — და თქვენ მიიღებთ მიწურს სახლს. უკანიდან ისე ახვალთ სახლის თავზე (ბანი), რომ ვერც კი შეამჩნევთ, აქ რაიმე სადგომიაო. ბანების რიგი ხშირათ შარა გზათ გეჩვენებათ და ზედ არხეინათ დადიხართ, დარწმუნებული გზაზე მიედივარო. მხოლოთ ძაღლის ყეფა გაგაგებინებსთ, რომ აქ გზა კი არა, ხალხის ბინაა. სახლი შედგება ერთი ფართო ოთახიდან და აქვს ერთი შესავალი წინიდან. ფანჯარის მაკიერობას ასრულებს ბანის ხვრელი, საიდანაც ჩამობჟუტავს ქვევით რაღაც სინათლესავით. შიგ შესვლისათანავე გეცემათ მძიმე, ნოტიო ჰაერი, თუმცა მიწმენდილ მოწმენდილობა და სისუფთავე აშკარაა. მიწის იატაკი დაგვილი, საწოლი და წვრილმანი ავეჯეულობა მილაგებულ-მოლაგებულია, მაგრამ მარგალიტებიც რომ ეყაროს, მაინც ეს ვერ გიხსნის იმ აზრისაგან, რომ ცოცხლათ მიწაში ხარ ჩასული. ოთახში ერთათ ერთი გძელი და ფართო ტახტია, ეს არის სტოლიც, სკამიც და საწოლიც. რაიმე ევროპიულ ავეჯეულობას აქ ვერ შეხვდებით, გარდა უბრალო ლამპისა და საინისა. იქავე გვერდით არის პირუტყვის სადგომი, რასაც ბოსელი ეწოდება. ბოსელს აქ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვინემ ადამიანის სადგომს. გლეხის სიმდიდრე ბოსელით იზომება, ვისაც აქვს კარგი და დიდი ბოსელი—ის გამოჩენილი კაცია სოფელში. უბოსლო ოჯახი დაღუპული ოჯახია. ყველაფრის უქონლობა მოგვეტევება, თვით სადგომის უქონლობაც, მხოლოთ უბოსლობა კი არასოდეს. და მერე რატომ? რატომ და ოთხფეხი პირუტყვი აქ მიუცილებელი საჭიროებაა, ხარი, ძროხა და კამეჩი — ეს გლეხისთვის ყველაფერია. ის ოჯახს წარმოიდგენს პირველ ყოვლისა არა, როგორც ადამიანთა კრებას, არამედ როგორც ხარების და ძროხების გროვას, თავისი ბოსლით. გლეხი რომ სადმე გადასახლდეს, პირველათ უთუოთ ბოსელს ააშენებს და მერე სხვა რამეზე მოიფიქრებს. ზამთრობით გლეხს პირუტყვი ბოსლიდან თავის სადგომში გადაჰყავს და ასე ერთ ოთახში ატარებენ მთელ ზამთარს, თფილათ ეიქნებითო. ან და თითონ გლეხი გადასახლდება ბოსელში. ასე რომ, ხარი, კამეჩი, ძროხა, ხბო, ქათამი, ღორი, კაცი, ქალი, ბავშვი ერთათ, ერთ ბინაში ზამთრობენ.

ასეთი სადგომები აქვთ მიწაში.

მიწას ზევით კი ცოტა იცვლება სანახაობა. შენობა, ჩვეულებრივათ, რიყის ქვებით და ტალახით არის აშენებული. ხე აქეთ ძვირია, ხოლო ქვები კი უხვათ ყრია ღელეების ნაპირას. და აი ამ ქვებს აწყობენ ერთი მეორეზე და გამოდის სახლი. ერთი შეხედვით კიდევაც შეგეშინდებათ, ეს არის ჩაინგრევაო, მარა ტალახის წყალობით გვარიან მაგრათ არის აგებული. აქაც ერთი ოთახია თავისი ძველი ტახტით, მხოლოთ აქა-იქ ზოგი ევროპიული ავეჯიც შეგხვდებათ, მაგალითათ სკამი, სტოლი და სხ. ცხოვრება მიწას ზევითაც ისე მიმდინარეობს, როგორათაც მიწას ქვევით. ზამთრობით მაღლა მცხოვრებნიც ქვევით მიიკრიფებიან და ბოსელში სახლდებიან. ეს ბოსელი ყველას საყვარელი ბინაა. ერთ სოფელში მითხრეს: გლეხები პირველათ, როცა მიწური სახლიდან მაღლა ამოვიდენ და ზევით დაიწყეს ცხოვრება, ავათ დახდენ, თქვეს, უთუოთ ღმერთმა იწყინა ჩვენი ასეთი თავხედობაო და ისევ მიწაში გადასახლდენო! და მართლაც, ადვილათ შეიძლება მძიმე და ბნელ ჰაერში დაბადებული და აღზრდილი წმინდა ჰაერს უცებ ვერ იტანდეს და ავათ ხდებოდეს, სწორეთ ისე, როგორც უცებ თვალ ახილულს სინათლე წყენს, მაგრამ ეს ხომ სინათლის და წმინდა ჰაერის უვარგისობას არ ნიშნავს.

გლეხის სადგომები საზოგადოთ ერთმანეთზეა მიყრილი; გასაქანი ადგილი არა აქვთ, ერთის წინა კარებთან მეორის უკანა კარები გამოდის, ერთის კედელი მეორის კედელიც არის. ქალაქშიაც არ არის ისეთი სიიწროვე, როგორც აქ. ამ მხრით შესანიშნავია განსაკუთრებით სოფ. ახალ-ქალაქი. ერთ პაწია ეზოში ოთხი და ხუთი მოსახლე ცხოვრობს. იმდენი მიწა აქვს, რომ თავის ქოხი და დგას, მორჩა და გათავდა. ამათ რასაკვირველია არც ბოსელი აქვთ, არც ბეღელი და არც სხვა რამე. და რომც სურდეს გაკეთება, სად გააკეთოს, ალაგი არა აქვს. მე არსად ისეთი უმიწობა არ შემხვედრია, როგორც ახალ-ქალაქშია და ამასთან, რასაკვირველია, უკიდურესი სიღარიბეც მძვინვარებს (ამაზე ქვემოთ). და აი წარმოიდგინეთ, ასეთ შეიწროებულ სოფლებში მოაქვთ ყანებიდან ძნა ბ ალ ლეწვენ. სახლის წინ რაღაც ხელის სიფართე მიწა აქვთ და ისიც კალოთ არის გადაქცეული. კალოს მტვერი და ბზე სახლში ცვივა და ეს არც არავის აწუხებს. კალოობას მთელი სოფელი მოცულია მტვერიანი ჰაერით, სახლი, კარი, ტანისამოსი, თვით ადამიანი—სულ ბზით და მტვერით არის საე-

სე. კალო კახეთშიაც არის მარა, სოფელში კი არა, არამედ სოფელს გარეთ. აქ კი სწორეთ კარის ძირში მოუყრია თავი ყველაფერს, იქვე ბოსელი, იქვე კალო, იქვე ხალხი... საკვირველია, რატომ მთლათ არ წყდებიან ასეთ ანტისანიტარულ პირობებში. ცხადია, სოფელი უსუფთაო უნდა იყოს, მარა ამ საერთო უსუფთაობაში არსად ისეთი უსუფთაობა არ მინახავს, როგორც სოფ. მეტეხში. მეტეხელი ცოცხლათ ნაგავში ცურავს, კაი ცურვა ცოდნია, რომ ამდენხანს ნაპირას არ გამოდის.

სოფლები გაშენებულია ფერდოებზე და გორებზე, ერთმანეთთისაგან კაი მანძილით დაშორებულია და შეიცავენ ცოტა რიცხვს მცხოვრებლებისას. არის ოთხ-კომლიანი სოფელი, არის ხუთასიანიც, მარა ეს უკანასკნელი ძალიან იშვიათათ; აქაური სოფლის კომლთა საშუალო რიცხვი ასს არ წააცილებს. სოფლის სიპატარაეის მიზეზი ასე ამიხსნა ერთმა მებატონემ: უთუოთ თითოეულ ბატონს სურდა თავისი საკუთარი სოფელი ჰქონებოდა და სხვა ბატონის გლეხს თავის სოფელში არ ღებულობდაო.

ასეთია სოფლის გარეგანი სახე. ახლა გადავიდეთ სოფლელთა შინაგან განწყობილებაზე.

ნ. ჟორდანია.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲘᲡ რედაქტორს ბ. ე. გუნიას ქალალდი მოუვიდა ბეჭდვითი საქმეთა მთავარ-სამართველოსაგან, რომ მისი შუამდგომლობა, „ცნობის ფურცელი“ გადასცეს ბ. ივ. ჯაბადარს, შეწყნარებული არ იქმნაო.

—

ქართული დრამატ. საზოგ. გამგეობა 29 ამ თვეს თავის კანტორაში იწვევს ყველა იმათ ვინც სურვილი განაცხადეს ქართულ სცენაზე შემოსვლისა. ამ დღეს მათ დაურიგდებათ როლები და დაენიშნებათ გამოსაცდელი წარმოდგენები.

—

ვ. დ. ყორღანოვ'ს ნება მიუღია თფილისში გამოსცეს ყოველთვიური რუსული ჟურნალი სახელწოდებით: „კავკასიის მოამბე“ („Кавказскій Вѣстникъ“). რედაქტორი იქნება კ. ნ. ბეგიჩევი.

—

კნეინა ქ. ჯ. ამირეჯიბისას, ქალ, ე. ა. მაკაროვისას, კნ. ვ. მ. ამირეჯიბისას, კნ. ნ. ჰ. ბარათაშვილისას და ქალ. მ. ს. გოპაძეს გორის მაზრის დასეტყვილ გლეხთა სასარგებლოთ აბასთუმანში გაუმართავთ წარმოდგენა, საიდანაც წმინდა შემოსავალი დარჩენილა ასი თუმანი. ეს ფული მათ გადაუციათ გორის მაზრის თავად-აზნაურის წინამძღოლისათვის — დასეტყვილ გლეხთა შორის დასარიგებლათ.

—

ᲑᲐᲗᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ განაჩენი, კვირა-უქმე დღეებში დაიკეტოს მაღაზიები და ნოქრებს თავისუფლება მიენიჭოსო, გაუუქმებია ქუთაისის საქალაქო საქმეთა საკრებულოს.

—

უმაღლესათ ნება მიეცა ინჟინერ პ. ვ. ბრაილოვსკის, ბარონ ვ. ა კუსოვს და ა. ს. ნადეჟდინს შეადგინონ „ტუაზის სააქციონერო საზოგადოება ცემენტის და სხვა საშენ მასალათა საწარმოებლათ“. საზოგადოება აარსებს ზავოდ'ს განჯის გუბერნიაში, ყაზახის მაზრაში, რკინის გზის სადგურ ტუაზის მახლობლათ, ნ. და ა. სულთანოვების მამულში. საზოგადოების ძირის ფულია ერთ მილიონ ნახევარი — დანაწილებული 6,000 აქციათ. მმართველობა თფილისშია.

—

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ განსაკუთრებით საკრებულოს, (ეიცეგუბერნატორის, მიკლაშევსკის თავმჯდომარეობით) რომელსაც ქუთაისის გუბერნიის საადგილ-მამულო გადასახადის საქმე ჰქონდა მინდობილი, უკვე დაუსრულებია მუშაობა. გადასახადი გაუწერიათ 807,225 დესეტინა მიწაზე; ეს მიწები დაყოფილია, ღირსებისდაგვარათ, სამათ: ვენახი, სახნავი, ტყე და საბალახო. გარდა ამისა თითოეული ამათგანი იყოფა სამათ: საუკეთესო, საშუალო და მდარე მიწები. ამ მიწების შემოსავალი ნაანგარიშევია ასე: ქუთაისის მაზრისას შემოაქვს 312,504 მ. შორაპნისას — 293,778 მ., ოზურგეთისას — 226,334 მ., სენაკისას — 212,426 მ., ზუგდიდისას — 186,902 მ., ლეჩხუმისას — 87,033 მ., რაჭისას — 74,646 მ., და სოხუმისას — 244,722 მ. საერთოთ 807,225 დესიატინას შემოაქვს 1.638,345 მ. და აი ამ შემოსავალის თანახმათ, ამ მამულებზე გაუწერიათ წლიურათ 98,545 მ. 95 კ., თითოეულ მაზრას შეხვდება: ქუთაისისას — 18,796 მ., შორაპნისას — 17,670 მ., ოზურგეთისას — 13,613 მ., სენაკისას — 12,783 მ., ზუგდიდისას — 11,241 მ. 95 კ., ლეჩხუმისას — 5,234 მ., რაჭისას — 4,489 მ. და სოხუმისას — 14,719 მ. აი ეს თეითოეული მაზრის გადასახადი უნდ განაწილდეს მაზრის მემამულეთა შორის. („ახ. მიმ.“).

—

როგორც ვიცით, ბ. სარაჯიშვილი ქ. სოხუმის თავათ არ დაამტიცეს. ამ ჟამათ სოხუმის ქალაქის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობას შეადგენენ: ქალაქის მოურავი—ბერენსი, მისი თანაშემწე—კოზმინი და ქალაქის მდივანი—ნიკოლაევი. სამივე რუსია.

—

მწ:ოთ მოქმედების სამინისტრო:ს 500 მან. გადაუდეია იმ გლეხთა დასაჯილდოებლათ, ფულით და სამეურნეო იარაღით, რომელნიც სექტემბერში მონაწილეობას მი:ღებენ საბალ:ანო საზოგადოების გამოფენებში ბაქოს, ქუთაისს, სოხუმს და სტავროპოლში.

—

ქალაქის ღამის სათევ 1-ლ თავ-შესაფარში 1898 წ. ყოფილა 31,461 ღამის მთეველი, მათ შორის 27,724 მამაკაცი და 3737 დედაკაცი. გვარ ტომობით ღამის მთეველები განიყოფებიან ამ რიგათ: რუსი 12,922 მამაკ. და 1006 დედაკ., ქართველი—2,249 მამაკ., და 724 დედაკ., სომეხი 11,794 მამ. და 2008 დედ., სპარსელი 209 მამ. და 32 დედაკ., და:არჩენი ღამის მთეველები სხვა და ;ხვა გვარ-ტომობისა ყოფილან. მე-2 თავ-შესაფარში ღამე გაუთევია 18,175 კაცს, მათ შორის 11,133 მამაკ. ყოფილა, ხოლო 2043 დედაკ.

—

ლანჩხუთიდან გვწერენ: 22 ამ თვეს ღამე, ქორწილში მოკლეს ადგილობრივი მცხოვრები ალ. როსტომისძე ქორდანია. მკვლელი ყოფილა ხიდისთაველი კაცი, გვარათ ქერქაძე. მას ჩხუბი მოსვლია პ. იმ—ძესთან, ამოუღია რევოლვერი და უსროლია იმ—ძისათვის, ტყვია მიზანს აცილებია და მოხვედრია სრულიად უდანაშაულო ქორდანიას ბ იქვე მოუკლავს.

—

1865 წლიდან რუსეთის დასავლეთ და სამხრეთ გუბერნიებში პოლონელთ აკრძალული აქვთ შეიძინონ მამული ყიდვით ან რაიმე სხვა საშუალებით, გარდა მემკვიდრობით მიღების, მარა ამ ქამათ მთავრობას განუზრახავს ამ კანონის გაუქმება და სანამ ეს განზრახვა სისრულეში მოვიდოდეს, გუბერნატორებს უმაღლესი ბრძანება გამოეცხადა: ნება მიეცეთ პოლონელთ იყიდონ მამულები, მხოლოთ წკრილ-წერილ ნაჭრებათო ისე რომ მყიდველს 60 დესიატინა მიწაზე მეტი არ ჰქონდეს.

„კვალის“ კორესპონდენციები.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. სამეურნეო სკოლა. აგერ ორი წელიწადი გადის რომ ქუთაისის სამეურნეო სკოლას მართველი არ ჰყავდა. ამ ორი წლის განმავლობაში მას ბევრი რამ დააკლდა. აშენებიდანვე ეს სკოლა დიდ ვაი-ვაგლახს არის გამოვლილი. არ იქნა მას არ გამოუჩნდა იმისთანა კაცი, რომელსაც მაგრათ მოეკიდნა იმისთვის ხელი და რიგიან ნიადაგზე დაეყენებინა. ყოველ წლივ სულ სხვა-და-სხვა მმართველების ხელში გადადიოდა, ასე რომ 7—8 წლის დაარსებულმა სკოლამ ხუთ მმართველზე მეტი გამოიცვალა, და უკანასკნელ მმართველ—ბ. ბიბიკოვის წასვლის შემდეგ სულ მთლათ უფსკრულისკენ ჩაეთრია და ლამის არის სიბნელის ზეწარი გადაეფაროს. ვინც კი უნდა ნახოს დღეს ეს სკოლა, თუ სულ უგუნური არ იქნა, გინდ წასწავლმა და გინდ უსწავლელმა მაშინვე იტყვის რომ ამ სკოლას პატრონი არ ჰყოლიაო. რას გავს მისი ან ვენახი, ან ბაღი, ან საყვავილე (цвѣтникъ), ან სათუთუნე, ან საფუთკრე, ან ბოსტანი, ან ხეხილი? გავშინჯოთ გარეგანი შეხედულობით: ბ. ბიბიკოვის ხელში—აქ გაიმართა ხილის ბაღი, გადააბრუნეს საევნახე მიწა, გააშენეს ამერიკული ვენახი, „პადვალი“, ხილის საშრობი, ერთი სიტყვით ცოტათ თუ ბევრათ აქ შრომა იყო. სულ სხვაა დღეს. მებაღე ჩივაძის წასვლის შემდეგ ბაღს არა თუ მიემატა რამე, არამედ, რაც იყო ისიც გაახმეს და გადაყარეს. შვენიერი სანახავი იყო აგრეთვე საყვავილე, აყვავებული და შემკობილი სულ სხვა-და-სხვა ყვავილებით, გზები სუფთათ გაკვანილი, მრავალ გვარ ფიგურებათ დაყოფილი. ხალხი ყოველთვის ბლომათ დაიარებოდა სანახავათ და აქაურობა ესტეტიკურათ აკმაყოფილებდა. ახლა ამაებ:ს მაგივრათ აქ ცარიელი მოხრეკილი ტიტველი მიწა არის, უშნოთ, ულაზათოთ დაუმუშავებელი. ჩივაძეს შემდეგ აქ მებაღეთ კრილოვი იყო, რომელსაც შვენიერათ და ლამაზათ ჰქონდა ბაღი მომართული. ახლა მის ადგილზე ორი წელია თითქმის რაც ბ. მ. კვირკელიძე ბრძანდება, კურს დამთავრებული ნიკიტის საბალ:ანო და სამეღვინეო სასწავლებელში. ის შეიძლება კარგი მებაღეც იყოს, მაგრამ სანამ ამას არ დაგვანახვებს, საქმით არ გვამცნობს, ვანამდ:ს კი ყოველთვის ეჭვი გვექნება ამაში. მას რაღაც შრომა არ ეხერხება და უამისოთ მეურნეობა არ შეიძლება. რომ კითხოთ ბ. კვირკელიძეს რას გავს შენი ბაღი, გიპასუხებსთ: я обыкновенно тружусь сколько могу, а такъ своимъ цвѣтоводствомъ и садоводствомъ никаго удивлять не стану. კარგი და პატ:ოსანი, მაგრამ რაც იყო იმისთვის მაინც აღარ მოეკლო, თუ ახალი შრომით ვერაფის გააკეთებდა. ავიღოთ თუთუნის წარმოება. უმეტესი ნაწილი სათუთუნეთ დამუშავებული მიწისა ცარიელია, ხოლო თუთუნის სახმობს ცეცხლი წაეკიდა, დაიწვა და მთლათ გადაიბუგა. უნდა ვთქვათ რომ მეთუთუნეობა სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერს არ წარმოადგენს, თუმცა წელს, თფილისში გამოფენის დროს კიდეც მიიღეს, „Похвальный отзывъ“ за успѣшное занятіе табаководства въ кутаисской сельско-хоз. школѣ.

მევენახეობა და მებოსტნეობა გვარიანია, თუმცა ბალახებით ავსილი არის, როგორც ვენახი, ისე ბოსტანი და გზები, ასე რომ თუ გვერდით არ შეუარეთ ფეხებში გამოგედებათ. ხილის საშრობი დანგრეულია, უპატრონოთ მიგდებულია. საფუტკრეც უპატრონოთ არის, ამ დარგს აწარმოებდა რ. ჩიხლაძე; ის წავიდა და მის ალაგას დღემდის არაევინ მოუწვევიათ. აქ არის აშენებული „ორანჟერეი“, რომელიც კარგა ძვირათ დაჯდა და, რომლითაც სრულიად არ უსარგებლიათ. აგრეთვე წელს გაკეთებული პარნიკები ბალახებით არის ავსილი და დავიწყებული. ბ. მკურნალს ორი ულელი ხარით რაღაც ერთი ქცევა მიწა ძლივს დაუმუშავებია, შიგ სიმინდი დაუთესავს, რომელსაც მიდგომიან ლორები და საქონელი და ანადგურებენ. საკვირველია სწორეთ რომ 60—70 მოწაფის მუშაობა არაფერში არ ჩნდეს. იმავე მკურნალს აქვს აღებული მექათმეობა, რომლის გამოფენას მომავალ თვეში აპირებს და არ ეიცი რას ჰფენს, როცა 20—30 ქათმის მეტი არა ჰყავს და ისიც ჩვენებური ჯიშის ქათმისაგან არაფრით განირჩევა.

ასე ამ გვარათ ამ ორი წლის განმავლობაში სკოლას არავითარი წინსვლა არ დატყობია. ეჭვს გარეშეა, რომ ამოდენი (60—70) მოწაფის შემწეობით, კარგი მართველის და მასთან კარგი მასწავლებელის წინამძღოლობით სამჯერ მეტ მიწას დაიმუშავებდენ და მეტ სარგებლობას მოუტანდენ, როგორც სკოლას, ისე მოწაფეებს. ამ ჟამათ სკოლას ახალი მართველიც ეღირსა, ბ. ე. ა. ლიუბინეცკი, რომელსაც კურსი უმანის საშუალო სასწავლებელში დაუმთავრებია, და სიტყვებით დიდ საქმეებსაც უქადის სკოლას. ვისურვებთ, რომ ბ. ლიუბინეცკის სიტყვები უნაყოფოთ არ ჩამჭკნარიყოს, თავისი დაპირება აესრულებიოს და სასახელოთ წაეყვანოს ამდენი ხნის მიყრუებული სკოლა.

ს—ლი.

—

დ. ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲐ. არა ერთხელ და ორჯელ ყოფილა გამოფენილი გაზეთებს ფურცელზე ყვირილის ავ-იარგიანობა, მაგრამ ეს ცოტა ხანია ბაიბურიც არ ისმის; ცხადია, სიჩუმე ჩვეულებრივ სიზარმაცე-ძილის შედეგია, თვარა ჩვენ საზოგადოთ ისეთი სულგრძელები არა ვართ, რომ რაიმე საქმის გაკეთებას შევუდგეთ და მასთანვე მკვეხარა კიჟინით არ ვაცნობოთ ქვეყანას: აი ეს პროექტი შევიმუშავეთ, აი ეს ამხანაგობა დავაარსეთო და სხვა.

გასაქალაქებელ დაბა ყვირილას ძინავს და თან ითრევს გამოფხიზლებულ ახალგაზდობას. გადააველეთ ქუჩებს თვალი, შეეფერება „დაბა ქალაქს“ და მერე ისე ნიეთიერათ მდიდარ ხალხს, როგორიც ყვირილელები არიან, ასეთი უსუფთაო, ქვებით აროხილი ქუჩები? აქაურ მკვიდრთ კი ადვილათ შეუძლიათ ქუჩების გაუმჯობესების შესახებ კითხვის აღძრა და სისრულეში მოყვანა. აქაური ორ-კლასიანი ნორმალური სკოლა, რომელიც არ იქნა ოთხკლასიანობას ვერ ეღირსა. ვ. სეფისპირელის პროექტი, სკოლის ოთხკლასიანათ გადაკეთების შესახებ, ხომ ისევ პროექტობს.

ახლა სამკითხველოში შევიდეთ. წიგნ. საკავ. სამკითხველოს გამგე კომიტეტი შედგება ოცდა ათამდე წევრებისაგან. ესენი არიან ახალგაზდები, ახალი აზრების შეგნებისა-და-გვარათ მიმდევარნი. ამათ რიცხვში არ კადრულობენ ჩაწერას დიდათ სწავლულნი, „ახალ მოდის კაცების“ არ მომწონენი, რომლებიც ფანტაზიას და პროექტების თხზვა უფრო ბევრ დროს ანდომებენო. წიგნსაკავ. სამკითხველოს გამგე კომიტეტი კომიტეტათაა და სამკითხველოც ვითომ სამკითხველოთ. ხუთი ექვსი გაზეთი: „ახალი მიმოხ.“, „ევერია“, „ცნ. ფურ“, „Журналъ для всѣхъ“, „знамя“, „Черном. Вѣст.“ და ნახევარი წლით „კვალიც“ ყოფილა გამოწერილი. ახლა ყველა ესენიც ღვთის ანაბარათაა მიტოვებული. ამ სამკითხველოს კარები ღამითაც არ იკეტება მგონი, სხვა დაბა-სოფლებიდან კი შემოგვჩივიან, რომ აქ დღეში ორ საათს თუარის ღია, თვარა სხვა დროს სულ დაკეტილიაო. ყვირილის სამკითხველოს გამგეს კი იმდენი სხვა საქმები ჰქონია, რომ დაკეტა ავიწყდება თურმე, მაგრამ „ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომ არ ავიწყდებოდეს სამკითხველო მუდამ დაკეტილი იქნებოდა, რადგან თვითონ გამგეს სამკითხველოს ახლოს ვერ იხილავთ. ძალიან კარგი: სამკითხველოს კარები ღიაა და „არაფერიც არ იკარგება, ჯამაგირს რაღაში აძლევთ, ბატონებო? ნუ თუ სამკითხველოში მოუსვლელობისათვის?!. თუ სამკითხველოში მეთვალყურე საჭირო არ არის, არც მისთვის ფულის ძლევაა საჭირო. იმ ფულით ექვს სხვა ჴ სხვა ჟურნალ-გაზეთს გამოვიწერდით ჴ უმჯობესი არ იყო? მარა „გლახამ საკურთხი მოიტანა ჴ თითონ შეჭამაო“ იმისი არ იყოს, იქნება როგორც წევრს ვადასახადი შამოაქვს და როგორც გამგეს ისევ გააქვს! მაგრამ საწევრო გადასახადი ხომ ნაკლებია ჯამაგირზე, ძალიან ნაკლებიც? ქალები სამკითხველოში არ დაიარებიან, მატარებლის მოლოდინში სადგურზე უსაქმურათ კი ბევრ დროს ჰკარგავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორეთ სირცხვილია ყვირილელების ასეთი უსაქმურობა და კომიტეტის მიძინება. მარტო ჯიბეზე და მორთვა მოკმაზვაზე მეცადინეობით ხომ ვერ ეავა ხალხი გონება-ზნეობრივათ წინ! ა. ლაშელი.

დრეიფუსის საქმე.

ეს ორი თვეა დრეიფუსის საქმე ხელმეორეთ ირჩევა რენის სამხედრო სასამართლოში და ჯერაც ბოლო არ უჩანს. მთელი ეს დრო მოწმეების ჩვენებას უნდება. მოწმეთა რიცხვი ერთობ დიდია. დრეიფუსის გამამტყუნებელია 70 მოწმე, სულ შტაბის მოსამსახურენი და მათი ამყოლ-დამყოლნი. შემდეგ მოდის 7 მოწმე, სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გამოწვეული და ბოლოს 30 მოწმე დრეიფუსის მიერ დანიშნული. აქ ჩათვლილი არ არიან მოულოდნელი მოწმეები, რომელთა მოწვევას საჭიროთ ხედავდენ საქმის გარჩევის დროს. ამ ჟამათ დასრულდა მოწმეების ჩვენება, შემდეგ დაიწყება პირისპირ წაყენება ბრალდებულისა ბრალმდებლებთან და მოწმის მოწმეებთან, მერე წარმოთქვამს სიტყვას პროკურორი, პროკურორს მერე დამცველნი (ლაბორი და დემანჟი), რომელნიც ილაპარაკებენ ხუთ დღეს და ბოლოს სასამართლო თავის მსჯავრს დასდებს. ასე რომ სექტემბრის პირველ რიცხვებში შეიძლება ველირსოთ დრეიფუსის ბედ-ილბლის გადაწყვეტას. გაამტყუნებენ მას? გაამართლებენ მას? აი რის კვლევა ძიებაშია ამ ჟამათ მთელი ქვეყნის ჟურნალ-გაზეთობა. დრეიფუსი პირველათ გაამტყუნეს იმ საბუთის ძალით, რომელსაც ბორდერო ეწოდება და რაც ვითომ დრეიფუსის ხელით არის დაწერილი. აქ ჩამოთვლილია საიდუმლო დოკუმენტები, უცხო სახელმწიფოს მთავრობისათვის გადაცემული. გამოდის, რომ დრეიფუსმა დასწერა ქაღალდი და იქ ანუსხა თავის მიერ გაცემული საბუთები. მაგრამ პარიჟის საკასაციო სასამართლომ იცნო, რომ ბორდერო დრეიფუსის დაწერილი არ არის, დაარღვია პარიჟის სამხედრო სასამართლოს განჩინება და ხელმეორე გასარჩევათ გადასცა რენის სასამართლოს. ამ უკანასკნელს მან შემდეგი კითხვა დაუყენა გადასაჭრელათ: ბორდერო არ არის დრეიფუსის დაწერილი, მარა შეიძლება იქ ჩამოთვლილი დოკუმენტები მართლა გასცა დრეიფუსმაო. ე. ი. შეიძლება ბორდერო სხვისი თხზულება იყოს, ხოლო იქ ჩამოთვლილი ფაქტი ბრალდებულის ჩადენილია. რენის სასამართლოს შეუძლია ეს კითხვა გაფართოვოს და საკასაციო სასამართლოს განჩინება ბორდეროს შესახებ დაარღვიოს. თუ მან იცნა, რომ ბორდერო დრეიფუსის ნაწარმოებია—მაშინ დრეიფუსის გამტყუნება აუცილებელია; აქ საჭიროა აღარ იქნება შიგ მოთხრობილი ამბის დამტკიცება. მეორე მხრით, თუ ის დაეთანხმა საკასაციო სასამართლოს, ხოლო ბორდეროში ნაჩვენები ფაქტი ნამდვილი აღმოჩნდა—დრეიფუსის გამტყუნება მიუცილებელია. მაგრამ თუ არც ერთი ეს არ დამტკიცდა—დრეიფუსი გამართლებულ იქნება. შტაბის თითქმის ყველა მოწმე ამბობს, რომ დრეიფუსმა არა თუ ბორდეროში მოთხრობილი ღალატი ჩაიდინა, არამედ, თვით ბორდეროც მან დასწერაო. მხოლოთ ეს კია, რომ ვერც ერთმა ეს თავისი აზრი დოკუმენტით, საქმით ვერ დამტკიცა. პირიქით, ამათ საშინლათ ებნევათ ჩვენება და ბრალდებას ხან ერთით ასაბუთებდენ და ხან მეორით. როცა სახელოვანი ლაბორი მათ უმტკიცებს, რომ ბორდერო არ შეიძლება დრეიფუსის დწერილი იყოსო, მაშინ ისინი შიგ ჩამოთვლილ ფაქტებზე გადდიან, ის თუ არა, ეს ხომ მაინც ჩაიდინაო. ხოლო როცა ეს დანაშაულიც საეჭვოთ ხდება, მაშინ ბორდეროზე უთითებენ, აი ეს დასწერაო. დამარცხებული აქ, ისევ ღალატზე გადადის და ასე ბოლომდის. როცა რომელიმე ღენერალი მოდის და ფიცს ქვეშ აღიარებს: მე მრწამს, რომ დრეიფუსი დამნაშავეაო, ეს, რასაკვირველია, პატივსადები და სახეში მისაღებია, მაგრამ სამსჯავრო თხოულობს საბუთს, დოკუმენტს და არა უბრალო სიტყვებს. და აი, ვერც ერთი ნამდვილი საბუთი დღემდის ვერ წამოუყენეს და რომელიც კი წამოაყენეს — ყალბი აღმოჩნდა. ამას გარდა, ეს გამამტყუნებელი ღენერლები თვითონ პირადათ დაინტერესებული არიან ამ საქმეში, თუ დრეიფუსი გამართლდა ერთი—ორი ღენერალი მაინც უნდა დაჯდეს საბრალდებულო სკამზე. ღენერალ მერსიემ სასამართლოში აღიარა: ან მე და ან დრეიფუსიო. ასეთ დაინტერესებულ პირთა მოწმობა ყოველთვის და ყოველგან საეჭვო თვისებისაა და ამ მოსაზრების ძალით დრეიფუსის გამართლება მოსალოდნელია.

რა გააკეთე?!.

(რუსულიდან)

მბობ, გიუკვარვარ და მასუსს ელი,
სახე ფერ-მკრთალი აგშფოთებია;
გატყობ, ქალწულის უბიწო გულხე
შენ ნეტარება მოგწყურებია.

—

მაგრამ ჯერ მითხარ, იცნობ მწკვე ფიქრებს,
ცრემლი გიღვრია ოდესმე მწარე?
ძალგიძს სიმართლით აწონ-დაწონო,
რაც სიცოცხლის გზა გამოიარე?

—



ბეარის ნაყვავარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოტუდი, შრომით დაქანცული ხარ,
უძილო ღამით დაგწვია თვალი,
და ან რა ადთქმა მიგიძღვის წინა,
რომ გაიბრწყინო მით მომავალი?

—

პასუხს არ მაძლევ—მაშ შორს ჩემგანა
და მიუბრუნდი გარეგნულ სიყვარულს,
ბირუტუკ ცხოვრებას შეუდექ კვალად...
მე კი... ოქროზე არ ვცვლი წმიდა გულს

—

ოჰ, რომ იცნობდე მშრომელის ტანჯვას,
სახეზე გაჩნდეს გრძნობა შეგხება,
დეთაურიგ ადს რომ შეეძლოს შენი
დამორჩილება და გატაცება,

—

უსაქმო მდიდრებს ზიზღით უცქერდე
და მომავლისთვის გიძგერდეს გული,
იქითკენ, სადაც მუდმ შრომაა,
ძმობა, ერთობა და სიყვარული,—

—

მაშინ... ოჰ მაშინ, მეუკვირებოდი
ბედთან ბრძოლისთვის მედგრათ, გმირულათ,
შენით ბედნიერ, ადტაცებული
გადვიქცეოდი მთლათ სიყვარულათ..,

—

შენ-კი? იშრომე, განცხრომის მსხვერპლო,
გადქცეულო გამსმარ ყვავილათ?
ბეჩავი მოდგმის უფრო ბეჩავ შვილს
მე შხოლო ჩემ ზიზღს კაძლევ პასუხათ.

ბ. ბ.

ორიოდე სიტყვა სტუდენტობაზე.

მკითხველს შეიძლება ახსოვს ბ. დევდარიანის წერილი ჩვენ სტუდენტობაზე, რომელიც მოთავსებული იყო ამ წლის კვალში (№ 3). მეტათ ძნელი და თან სამწუხაროა, თანამედროვე სტუდენტობის უვარგისობაში დარწმუნება, რომელიც ახალი თაობის საუკეთესო ნაწილს უნდა შეადგენდეს. საზოგადო აზრით, ჩვენი მომავალის შემქნელი ახალგაზდობაა, და თუ ის არ გვეყვარგა, მაშ საშიშ მდგომარეობაში ჩავარდნილვართ: რა არის ის ერი რომელსაც სტუდენტობა (ახალგაზდობა) არ უყვარგა! ბ. დ—ნი სტუდენტია, და მართლაც ძალიან დაქვეითებული უნდა იყოს სტუდენტობა, როცა თითონ სტუდენტი გამოდგება და დაიძახებს, არ ვეყვარგიეართო. მაგრამ ნურც იმას დავიიწყებთ, რომ ასეთი იქვე, და ასეთი თავის ნაკლულევანებათა შეგნება უმჯობესი მერმისის თავდებიცაა. მართლაც მეტათ საგულისხმო ფაქტი აღნიშნა ავტორმა, მარა ფაქტის ჩვენება, მისი მითითება დღეს არავისთვის არაა საკმაო, და ამიტომ აქაც საჭირო იყო ამ მოვლენის ახსნა. აი, ამ მოსაზრებით, სანამ სტუდენტები განაგრძობდენ თავის-თავის გაშოლტვას, ნებას ვაძლევ ჩემ თავს ორიოდე მოსაზრება წარეუდგინო მკითხველს.

ბ. დევდარიანი ფიქრობს, ვითომ საზოგადოება დიდი წარმოდგენის იყვეს თანამედროვე სტუდენტობაზე, ნამეტან დიდ იმედებს აფუძნებდეს მაზე, მისგან მოელოდეს ხსნას; პრესსაში კი დოგმატიური სიჩუმე სუფევსო, გვეუბნება ავტორი. ჩემი აზრით, ორივე მოკლებულია საბუთიანობას. საზოგადოების და პრესსის დაყოფაც ამ შემთხვევაში შეუძლებელია: თუ საზოგადოება აღტაცებით შეცქერის სტ—ბას, უეჭველათ პრესსაშიაც იგივე აზრი გამოითქმებოდა, ან წინააღმდეგ, საზოგადოებაში უარყოფითი აზრის შედგენა პრესსაზეც იქონიებდა გავლენას. მართლაც, არაა საჭირო შორს, წარსულში ჭვრეტა, საკმაოა მე-90 წლები ვიქონიოთ მხედველობაში და დავრწმუნდებით, რომ სტუდენტობაზე ბევრი თქმულა ამ ხანში და მისთვის სასიამოვნო კი ძალიან ცოტა. მოვიგონოთ „ივერიაში“ მაიაშვილის „ძველი და ახალი თაობა“, მაჩხანელის წერილები (92 წ. მგონი) მოსკოვის სტუდენტობაზე, ბ. Plebs, იქვე საღარაძის „ახალი თაობა“, დაეიწყებული მწერალი („ივ.“), თუ გნებავთ კიტა აბაშიძის წერილიც „მოამბეში“, სოლოღაშვილის ორი „ამბავი“ (პეტერბურღის სტ—ბის ცხოვრებიდან), „კვალ-ს“ კვირიდან კვირამდე, იქვე კორესპონდენციები ქუთაისიდან და სხვ.

აზრიც ყველა ამ წერილებისა ერთი მეორეს ეთანხმება, ყველა ფიქრობს და ამბობს: სტუდენტობა არ ვარგაო. [1]) სხვა კითხვაა, ვინ როგორ ხსნის მოვლენას, თუმცა უფრო მართალი იქნება, აქავე, ვთქვათ ვერც ერთი ვერ ხსნის.

საზოგადოებაშიც, თუ სიტყვა ჩამოვარდა ამ საგანზე, ყველა უვარგისობას უჩივის სტუდენტობას, ყველას მისი დაქვეითება აკერია ენაზე. ყველა ჩივის, სტუდენტობას არ აინტერესებს ჩვენი ჭირ-ვარამი, არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს ჩვენ ცხოვრებაში, საზოგადო საქმეებშიო. საზოგადოთ მიღებულია, თუ სტუდენტობაზე შეიქნა ლაპარაკი, უსა-

[1]) ამასვე გვიმტკიცებს უკანასკნელ სანებში მოდი შემოღებული სტუდენტების კოლექტიური წერილებიც; ოდესიდან, იურეკიდან, ქუთაისიდან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუოთ იგი უნდა შეადარონ მესამოცე წლების ახალგაზდობას და ისეთ კონტრასტებს გვიხატავენ, რომ წარსული იდეალათ გვეჩვენება და თანამედროვე კ. მის აჩრდილათაც ალარ ეარგა; საქმეს ისე გვიხატავენ, თითქოს იმ დროის (60 წ.) ცხოვრების სიცხოველე, ახალგაზდობის მოძრაობა, საქმიანობა მართლაც და „რაღაც დიდი ნიჭის, საზოგადო საქმის დიდი სიყვარულის“ შედეგი ყოფილიყოს, როგორც ერთი კრიტიკოსი ფიქრობს, და თანამედროვეს უვარგისობაც კერძო სტუდენტების ბრალი იყოს. ამ ყოველ საბუთიანობას მოკლებულ ცრუ აზრს უფრო მაგრათ აკიდებიებს ფეხს ჩვენ საზოგადოებაში აუხსნელათ ფაქტზე მითითება, და მართლაც, წარმოდგენილი მაქვს, არა ერთი „ბობოლა“ ჩაიცინებდა ბ. დ-ნის წერილის წაკითხვის დროს: „სულ სხვა ვიყავით და ვართ ჩვენო“, გაიფიქრებდა ის. ჩემი აზრით, სრული უცვლება მაქვს ეუსაყვედურო კერძოთ ყოველ სტუდენტს, რატომ უკეთესი არა ხარ თქო, მარა თუ ნამდვილია საზოგადოთ სტუდენტობის უვარგისობა, მაშინ საყვედური უადგილოა. ყოველი დროის ახალგაზდობა, მასთან სტუდენტობაც, მხოლოთ ისტორიული კატეგორიაა, ფაქტია, რომლის მოწონება და დაწუნება რასაკვირველია შეგვიძლია, მარა ქადაგებით და საყვედურით საქმის გასწორება კი არ შეიძლება; აქ საჭიროა მხოლოთ მისი მიზეზების გათვალისწინება, მოვლენის შესწავლა. ასეთივე ისტორიული კატეგორია იყო და არის მესამოცე წლების მოღვაწეები; იგივე „დრო“, ცხოვრების ასეთი თუ ისეთი განვითარება, იყო მათი წარმომშობი, მათი საზოგადო ასპარეზზე გამომყვანი, რომელმაც ასე „დაქვეითა“ თანამედროვე სტუდენტობა. აქ არაფერ შუაშია ის მისტიური „რაღაც დიდი ნიჭი“, რომლითაც ჩვენი ქართული ჟურნალის კრიტიკოსი ხსნის მესამოცე წლების სხივმფინარე ცხოვრებას.

რამდენიც უნდა ეუჩიელოთ ამ ჩვენ დროს, ის მაინც წინ მიდის და ცხოვრებაც ვითარდება, ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ ცხოვრება „საზოგადოებისთვის“ შეუმჩნეველათ ვითარდება; განვითარების პროცესი ერის შიგნით ხდება, მისი წესწყობილება ძირითადათ იცვლება, მარა ეს შეუმჩნეველი რჩება ცხოვრების „ნაქაფი“ საზოგადოებისთვ-ს; როცა ეს პროცესსი იმდენათ გაძლიერდება, რომ გარე ქერქის შეცვლას მოითხოვს, როცა იგი ძველ კანში ალარ ჩაეტევა, მაშინ იწყება საზოგადო მოძრაობა, ყველასთვის თვალსაჩინო. აი, ეს უკანასკნელი მოხდა მესამოცე წლებში; მაშინდელი ახალი თაობაც ამ ცხოვრებამ მოამზადა და იმ სახით გამოიყვანა საზოგადო ასპარეზზე, როგორსაც ეხედავთ. მას შემდეგ, განახლებულმა ცხოვრებამ განაგრძო ისევ შუაგულის, საძირკვლის გადაშენება, და მისი „ნაქაფი“ კი ძველ ფორმებს შერჩა, ის ზეზე სრიალობდა ამ ხანში. ახალი თაობაც, ახალში გამოურკვეველი, ძველზე გულგატეხილი, უპროგრამოთ დარჩა და ამას უმოქმედობაც მოჰყვა.

ამასაც ისიც მოწმობს, რომ თვით „ეს დიდი ნიჭის“ პატრონნიც უმოქმედობას დამორნებიან დღეს. ნუ თუ დავიჯეროთ, რომ მართლა დაიღალენ, ან და დაჰკარგეს „დიდი ნიჭი“, საზოგადო საქმის დიდი სიყვარული? არა ბატონებო, მათ დაჰკარგეს ძველი გზა, რომელიც შვენიერ შარას წარმოადგენდა; ცხოვრებამ იგი დაჰყო წერილ ბილიკებათ, დახლართა, და ჩვენმა მოღვაწეებმაც ვერ გაიგნეს.

აი, ამან გამოიწვია მათი უმოქმედება; ამან დააქვეითა ჩვენი ახალგაზდობაც და სტუდენტობაც. რამდენათაც ცხოვრება ვითარდება, იმდენათ ახალი თაობაც ირკვევა და დღეს საიმედო ნიშნებს ეხედავთ. მართალია ჯერ ეს ძლიერ ცოტათ იმჩნევა, მარა მაინც თავდებია უკეთესი მერმისისა. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენთვის საიმედო ნიშნები ზოგისთვის სრული უიმედობის მომგვრელია, მარა ეს „გემოს“ საქმეა! ბევრს სამწუხაროთ მიაჩნია, რომ სტუდენტობამ ერთ ფერობა დაჰკარგა, ძველათ თურმე ყველა ერთი მიმართულობის მიმდევარი ყოფილა. შეიძლება სამწუხაროც იყოს ეს მოვლენა, ოღონდ ჩვენთვის საინტერესოა, რადგან ის ყოველათ კანონიერია: რაც შიგ ცხოვრებაში ხდება, იმას ეხედავთ მის სარკეში; იქ თუ დანაწილება ხდება, აქაც იგივე უნდა მოხდეს და ასეც არი. დღეს ალარ შეიძლება ითქვას: ვითომ მთელი სტუდენტობა და ახალგაზდობა გამოურკვეველი იყოს; მცირე ნაწილი მისი, რომლის რიცხვი დღითი დღე მატულობს, შედგა მართალ გზაზე და ახლა თამამათ შეჰყურებს მომავალს, პროგრამმაც გამორკვეული აქვს და ცხოვრების ალღოც აღებული.

ამ რიგათ, აქაც მართლდება ჩვენი ანდაზა: „დრონი მეფობენ და არა მეფენიო“. არ უარეყოფთ მესამოცე წლების მოღვაწეთა ღვაწლს, იმ ხანასაც დიდი პატივისცემით ვახსენებთ, მარა შორს უნდა ვიქნეთ იმათი გადმერიებიდან, რაც უკვე დაჩემდა ჩვენი „საზოგადოების“ ერთ ნაწილს—მათ „მომღერლებს“.

რაც შეეხება თანამედროვე სურათს, მართლაც არა სასიამოვნოა, მხოლოთ ბ. დ-ნის კალმის ქვეშ სინამდვილეს მოკლებულია. ნამეტანია იმის თქმა ვითომ ჩვენი სტუდენტები მარტო ქეიფს, „ტრაქტირს“ და „ბილლიარდს“ ეტანებოდენ. ქართველებში ძლიერ ცოტაა ამ ტიპის სტუდენტი, ქართველი სტუდენტ-ს უბედურება ისაა, რომ ის ვერც „ქეიფობს“ რიგიანათ და ვერც მეცადინობს. არც მჭადია და არც ღომი.

ესენი არც საქმეს აკეთებენ და არც უსაქმურობა ეთქმისთ. საზოგადო ტიპი ჩვენი სტუდენტებისა, ვითომ კიდეც მეცადინობს, მუშაობს, მარა იმდენათ, რამდენათაც ეს დიპლომისთვის არის საჭირო, რომელიც ასე აუცილებელი შეიქნა ჩვენ ბიუროკრატიულ დროში. საზოგადოთ ჩვენი სტუდენტი რუსეთში პატრიოტია, ნაციონალისტი, შინ დაბრუნების შემდეგ კი არაფერისტი (ხშირათ აფერისტი), მთლათ კერძო ცხოვრებას ეძლევა. ამ უკანასკნელ ხანებში ახალი ტიპიც მშრომელი მეცადინე სტუდენტისა გაჩნდა, მარა ის იმდენათ მცირეა რიცხვით, რომ ჯერ ვერაფერს დაასვა თავისი დაღი.

აი ამათ მივმართავ ზოლის სიტყვებით: „იშრომეთ, ყმაწვილებო, საქმეს მოეკიდეთ! შრომა არის ის ერთათ ერთი რეგულიატორი, რომელსაც ორგანიული მატერია მიჰყავს დანიშნულ მიზნისაკენ!“.

სტუდენტი.

პასუხის პასუხი.

X (დასასრული)

ერთ ალაგას ბ. ბოცვაძე გვატყობიებს ერთ ფსიხოლოგიურ კანონს: „ადამიანის სულში ძნელათ გაიელის რამე, რომ შიგ კვალი არ დასტოვოსო“. ბ. ბოცვაძეს სხვა და-სხვა კანონების და აფორიზმების მოვანა უყვარს და იმას კი არ უკვირდება, ვის წინააღმდეგ ლაპარაკობენ ეს კანონები. რადგან ამ კანონის ჭეშმარიტება გრწამსთ, ვერ უარჰყოფთ მას, რომ ყოველგვარი სისაძაგლე, რასაც ბავში ცხოვრებაში კითხულობს, მის სულში კვალს დატოვებს. თქვენ კი, თუ რიგიანი ალმზდელი ხართ, უნდა ეცადოთ, ეს კვალი ან სულ ამოფხვრათ, ან შეასუსტოთ, რამდენათაც კი შესაძლებელია; ამას კი მარტო კეთილი დარიგებებით ვერ მიაღწევთ, ამისთვის საჭიროა შეაგნებიოთ მას ცუდის სიცუდე, მისი მავნებლობა. ბოცვაძის შეცდომა იმაშია, რომ, როცა საყმაწვილო ლიტერატურის შესახებ ლაპარაკობს, ცხოვრება სრულიად ავიწყდება; მას ჰგონია, მე თუ ბავშს კარგისა და ზნეობრივის მეტი არა შევასწავლერა, ბავში ანგელოზი გამოვაო; ის კი ფიქრათაც არ მოსდის, რომ ათასი დაუმალოს ბავშს ლიტერატურაში ცხოვრების ცუდი მხარე, თვით ცხოვრება არ დაუმალავს. ბ. ბოცვაძე ცდილობს, ჩემი შენიშვნები დაარღვიოს, და ხშირათ ისეთი საბუთები და მაგალითები მოჰყავს, რომ პირ-იქით თავის თავს ამტყუნებს და მე მამართლებს; აი ერთი ამგვარი მაგალითი:—ჩემი აზრის დასარღვევათ მას მოჰყავს „Образованіе“—დან 16 წლის ყმაწვილის სიტყვები, რომელსაც დოსტოევსკი წაეკითხა; ამ მწერლის წაკითხვამდე ყმაწვილის ბუნება ყოფილა სრულიად კმაყოფილი, უშფოთველი; დოსტოევსკიმ კი მთელი არეულობა მოახდინა მასში: ბავშმა გამოცადა წვალება საწყალის ხალხისა, გაიგო საშინელი საიდუმლოება ცხოვრებისა და შეიქნა უბედური და სხვ. მე სრულად მოვიყვანდი ამ ალაგს, გძელი რომ არ იყოს. ამის შემდეგ ბ. ბოცვაძე გამარჯვებული იძახის: „ამის მიხედვით ბ ნი გომართელის აზრს, რომ 15—16 წლის ყმაწვილს ყველაფერი უნდა გავაცნოთო, (როდის მოგახსენეთ, ყველაფერი უნდა გავაცნოთო?) ჩვენ ვერ ვაღიარებთ საზოგადო სახელმძღვანელო აზრათ აღზრდის საქმეში“. ბ. ბოცვაძეს ძალიან შებრალებია ეს ყმაწვილი და ეღარ ჩაჰკვირვებია მისი სულის მოძრაობას. ყველა, ვისაც პირუტყვული კმაყოფილება ბედნიერებათ არ მიაჩნია, დამეთანხმება, რომ დოსტოევსკის წაკითხვის შემდეგ ამ ბავშს დიდი ნაბიჯი გადუდგავს წინ, ის იყო მანამდე სრული კმაყოფილი ცხოვრებით და ბედნიერი, რადგანაც ცხოვრების სინამდვილეს არ იცნობდა; დოსტოევსკიმ გააცნო მას ნამდვილი ცხოვრება, დაუბადა თანაგრძნობა უბედურთადმი და ამის შემდეგ აშფოთებული ბავში იძახის, უბედური შეიქენიო, ეს მხოლოთ იმის გონებრივათ და ზნეობრივათ ამაღლებას ამტკიცებს. ადამიანის ბედნიერებას თუ კმაყოფილებით ავწონით, მაშინ ოთხი წლის ბავში, რომელსაც არავითარი ფიქრი არ აწუხებს, მოხუცებულ გლადსტონზე ან სხვა საზოგადო მოღვაწეზე გაცილებით ბედნიერათ გვეჩვენება; მაგრამ ვინ უფრო ბედნიერია, თვით ბოცვაძემ განსაჯოს. მისი არ ვიცი და მე კი ყოველთვის შევნატრი მას, ვინც საზრიანათ უყურებს ცხოვრებას და სხვისი უბედურებით იტანჯება, და არა უგუნურ ოპტიმისტს, რომელსაც ცხოვრება ბედნიერთა მეჯლიში ჰგონია.

ის ალმზრდელი, რომელიც მისდევს ყველა ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებს, წლოვანების შესაფერათ აგებიებს ბავშს კარგ მოვლენებთან ერთათ ცუდსა და უზნეოსაც, აჩვენებს მას ავისა და კარგის გარჩევას, ყოველგვარ მოვლენაში ღირსება-ნაკლულევანების გამოცნობას, არ აწვდის მის რწმენას გონებისაგან უარსაყოფ მცნებებს,—ყოველივე ამით ავითარებს ბავშის გონებას და მის კრიტიკულ აზროვნებას: კარგთან და ზნეობრივთან ერთათ ცუდისა და უზნეოს გამოცნობის და დაფასების შესწავლა, ღირსებასთან ნაკლულევანების ამოკითხვა იგივე გაღვივება და განვითარებაა კრიტიკული აზრის. კრიტიკული აზროვნების განვითარება კი მისთვის არის საჭირო, რომ ბავშმა შემდეგში თითონ შეიძლოს თა-

ვის-თავის ხელმძღვანელობა, საზრიანათ ცხოვრება. აი, ამიტომ ვამბობდი და ახლაც ვამბობ: აღზრდის ერთი უმთავრესი მოვალეობათაგანი ის უნდა იყოს, რომ ბავშს კრიტიკული აზროვნება გაუვითაროს, აზრიან ცხოვრებას მიაჩვიოს და არა ბრმა რწმენას და ყოველგვარი მცნების უაზროთ მორჩილებას. ეს აზრი ბ. ბოცვაძეს „სრულიად უსაფუძვლოთ“ მიაჩნია და „ძველათ შესასრულებლათ“. რამდენათ დაამტკიცა მან ამ აზრის უსაფუძვლობა, ეს საკმარისათ გამოირკვა; რაც შეეხება სიძნელეს, ვეთანხმები უცოდველ პედაგოგს, რომ ბავშის ასე აღზრდა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ცალიერი ზნეობრივი დარიგებების მიჩეჩება, მაგრამ ჩვენ აქ იმას კი არ ვირკვევთ, რა ძნელია და რა ადვილი, არამედ იმას, რა უფრო უმჯობესია და მასთან შესასრულებელიც.

რამდენიმე საგნის ან პირობის ერთათ წარმოდგენა ბოცვაძეს არ ეხერხება, მთელ მის აზროვნებას ყოველ ჟამს მხოლოთ ის იპყრობს, რის შესახებაც იმ დროს ლაპარაკობს; ის გვიწერს: რომელისამე ფაქტის აწონ-დაწონა კრიტიკულათ ბავშს მხოლოთ უფროსის დახმარებით შეუძლია, საყმაწვილო ჟურნალი კრიტიკულ აზროვნებას მას ვერ გაუვითარებს, მასში მხოლოთ ადვილ გასაგები ნაწერები უნდა ისტამბებოდესო და სხვ. ეს აზრი სრულიად შემცდარია: ბეჭედით სიტყვითაც შეგიძლიათ, ბავშს გააცნოთ კარგი და ავი და მათი განსხვავება დაანახოთ; ესეც რომ არ იყოს, რათ იღებთ განკერძოებულათ საყმაწვილო ლიტერატურას? ძალიან კარგათ იცით, რომ აღმზრდელი, ლიტერატურა, ოჯახი, — ერთი მეორეს უნდა ეხმარებოდეს ბავშის აღზრდაში.

შესანიშნავი კაცების ბიოგრაფიის მნიშვნელობის შესახებ მეტათ ახირებული აზრი წარმომითქვამს თურმე, მაგრამ რაში მდგომარეობდა ეს ახირებულობა, ბ. ბოცვაძემ არ გვაუწყა: ალბათ დიდი სიცრუე ვთქვი და ბოცვაძემ გულკეთილობა გამოიჩინა, — შეგვიბრალა და არ გაგვამხილა! ჩემი აზრის ახირებულობა იმაში მდგომარეობს, ბ. ბოცვაძე, რომ ბიოგრაფიების კითხვით ბავშში აღძრულ მიმბაძველობას მე არ ვაძლევ ისე დიდმნიშვნელობას, როგორც თქვენ: თქვენის აზრით ათის წლის სუვოროვს რომ პლუტარხი არ ეკითხა და ლიუტერს გუსის ბიოგრაფია, პირველი გენიოსი სარდალი ვერ გახდებოდა და მეორე შესანიშნავი რეფორმატორი; აი თქვენი სიტყვები: „ათის წლის სუვოროვში პლუტარხის კითხვამ აღძრა ისეთი გრძნობები, რომელთაც ის გენიოს სარდლათ გახადეს ბოლოს. იოანნე გუსსის ბიოგრაფიამ იმოქმედა ლიუტერზე იმდენათ, რომ მთელი რეფორმაცია მოახდინა სარწმუნოებისა და ეკლესიის საქმეებში“ გუსი რომ არ ეკითხა, ლიუტერი რეფორმატორი ალარ იქნებოდა, არამედ უბრალო სოფლის მღვდელი, — არა? ამის შემდეგ თამამათ შეგიძლიათ თავი მოიწონოთ, ბ-ნო ბოცვაძე, რომ ახირებული აზრების წარმოთქმაში ერთი კი არა, ასი ვომართველიც ვერ მოგწვდებათ.

ინგლისში, საფრანგეთში შვეიცარიაში საღმრთო რჯულის სწავლება სკოლებში ისევე სავალდებულო იყო რამდენიმე ხნის წინეთ, როგორც ჩვენში, მაგრამ დღეს ეს ვალდებულება საზღვარ გარეთ გააუქმეს და ამ-თ აღზრდის საქმემ უკან კი არ დასწია, კაი ნაბიჯი წაადგა წინ. ბ. ბოცვაძე კი გვიცხადებს: „ვინ არ იცის, საზღვარ გარეთ ყველა საგნებზე უფრო ცუდათ საღმრთო რჯულს ასწავლიან, ეს დიდიხანია საზღვარ გარეთ შეამჩნიეს და ცდილობენ, რომ ეარწმუნოებისა და საღმრთო რჯულის სწავლებას სკოლებში შესაფერისი ადგილი ეჭიროს.“ ვინ მოგახსენათ ბ. ბოცვაძე? რომელმა ჩიტმა მოგიტანათ ასეთი ახალი ამბავი, ვითომ საზღვარ გარეთ წუხდენ, საღმრთო რჯულის სწავლების მოსპობას და ხელახლა შემოღებას აპირებდენ? საწყალი საზღვარ გარეთი! თავისი დიდი შეცდომა ახლა შეუგნია და ცდილობს თურმე, საღმრთო რჯულის სწავლება სკოლებში ისე მოაწყოს, როგორც ჩვენშია! დამშვიდდით, ბ. ბოცვაძე, საზღვარგარეთ არც შეცდომა ჩაუდენიათ და არც დაბრუნებას აპირებენ. თქვენ შეგიძლიათ მისი ამ გვარი რეფორმა რეაქციათ აღიაროთ, მაგრამ საზღვარ გარეთ მას უყურებდენ, როგორც პროგრესიულ რეფორმას, დღესაც ასე უყურებენ და არც თქვენ გთხოვენ დახმარების აღმოჩენას, რადგანაც იქ ზნეობრივი აღზრდა და ძველი და ახალი აღთქმისა ᲔᲙᲐᲢᲔᲮᲘᲖᲛᲝᲡ გაზეპირება თქვენსავით ერთი და იგივე არა ჰგონიათ. რაც შეეხება თქვენ შენიშვნას: „ძალიან ბუნდოვანათ გამოთქვამს თავის აზრსო“, უნდა გამოგიტყდეთ: მეტათ გულუბრიყვილო ბრძანდებით! მოიღეთ იმდენი წყალობა, შემაძლებინეთ ᲫᲔᲪ და სხვასაც ასეთ კითხვების შესახებ თავისუფლათ ჩვენი აზრის გაზიარება და მერწმუნეთ, ყოველგვარ ბუნდოვანობას მოვიცილებთ.

თქვენი უკანასკნელი შენიშვნა: გომართელი მარტო ქალებს იწვევს ᲯᲔᲯᲘᲚᲨᲘ თანამშრომლებათო, სრულიად მეტი კუდი იყო. რადგანაც წინა წლებში მამაკაცები მეტ მონაწილეობას იღებდენ ᲯᲔᲯᲘᲚᲨᲘ, ვიდრე ქალები, ამიტომ მე მხოლოთ იმას ვწერდი, რომ ქალებსაც უფრო მეტი მონაწილეობა მიეღოთ, ვიდრე იღებდენ. მე არც იმას ვწერდი: აიღეთ ქალებმა კალამი და ყველამ მოთხრობები წერეთ მეთქი; თარგმანები და კომპილაციური წერილების შედგენა კი ყველას შეუძლია. დანარჩენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილმანი შეცდომები, რომლებიც ბ-ნ ბოცვაძის ფელეტონებშია, დეე მანვე მოინელოს, ჩემი პასუხი ისეც გაგძელდა; ხოლო ბოცვაძეს დასასრულ ‘ქევნიშნავ, რომ შეიძლება ადამიანი მასწავლებელი იყოს და ორების დასმაც კარგათ იცოდეს, მაგრამ პედაგოგიურ აზრებში გვარიანი ბეცი იყოს; როცა მას წერის სურვილი დაებადება ჯობს რაიმე გარკვეულ გზას დაადგეს და ორსახიანი იანუსის მიბაძვას თავი დანებოს: მაშინ საკამათო კითხვის გადაწყვეტა მისთვისაც და სხვისთვისაც უფრო ადვილი იქნება, მკითხველიც ლოგიკური კეკემლულობისაგან გათავისუფლდება.

იგ. გომართელი.

სოფლის ცხოვრება. [1])

სოფ. ნიგოითის (გურია) ქონებრივი მდგომარეობა.

ნიგოითი პატარა საზოგადოებაა. გლეხ-კაცობა სულ 230 კომლამდის იქნება, 30 კომლამდის თავად-აზნაურობა და სასულიერო წოდება. ნიგოითის საზოგადოებას სამხრეთის მხრივ აკრავს მთა, მაგრამ მცხოვრებნი კი ბარში (ძრიელ ცოტა მთაშიაც) ცხოვრებენ, სადაც ჰავა ცუდია და ამის გამო ციებ-ცხელება თუ სხვა ავათმყოფობანი ხშირია, სამაგიეროთ ნიადაგი კარგი ნაყოფის მომცემია, თუმცა ამ ბოლო დროს მიწა გამოფიტდა, მოსავალმა იკლო. უმეტესი ნაწილი მამულებისა თავადებს (მაჭუტაძეებს) ეკუთნით, გლეხ-კაცობას მხოლოთ მცირე ნაწილი. ნიგოითლების ცხოვრების უმთავრეს წყაროს, როგორც სხვა დასავლეთ საქართველოს მცხოვრებლებისას, შეადგენს სიმინდი, მაგრამ სამწუხაროთ ამ უკანასკნელ წლებში, როგორც მოსავალმა, ისე ფასმა სიმინდისამ ძრიელ დაიწია. სიმინდთან მეორე ადგილი უჭირავს მეაბრეშუმეობას და შემდეგში ევონებთ კიდეც გადააჭარბოს. მოჰყავთ აგრეთვე ღვინი, ღომი და სხ. მისდევენ მოშენებას პირუტყვ-ფრინველებისას, მარა ყველა ესენი, გარდა სიმინდის და პარკისა, ჭირდებათ ოჯახშივე და ბაზარზე ისე ცოტა გააქვთ, რომ სათქმელათაც არა ღირს, ხოლო რაც შემოუდით სიმინდისაგან ესეც ისე ცოტაა, რომ ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას თანამედროვე ცხოვრებისას და მცხოვრებლები იძულებულნი არიან სადმე ქირაზე წავიდენ ფულის საშოვნელათ. ამ უკანასკნელი (მცხოვრებლების ფულის საშოვნელათ წასვლის) გარემოების და მასთან სხვათა კარგათ გაგებისათვის ჩვენ ცოტა უკან დავიწვეთ და ამიტომ, შეიძლება, ეს წერილი ცოტა გაგვიგრძელდეს. აქ ჩვენ მარტო ნიგოითი არ გვაქვს სახეში, არამედ ის მდგომარეობაც, რომელიც გამოიარა, ან გამოიელის ნიგოითთან ერთათ სხვა სოფლებიც და ამიტომ წერილს რამდენიმეთ საზოგადო ხასიათიც ექნება

ამ 20—30 წლის წინეთ მცხოვრებთა უმეტესობა მთა-გორებზე მოსახლეობდა და საჭირო ჭირნახულიც მთაშივე მოჰყავდათ. მიწას ბარში მხოლოთ ბარშივე მცხოვრებნი ხმაროობდენ და იმასაც სოფლის ახლო-მახლო ადგილებში. ჭირნახული (უფრო სიმინდი) იმდენი მოჰყავდათ, რამდენიც საჭირო იყო ოჯახშივე სახმარათ. ფასი ჭირნახულს არ ჰქონდა და არც ფულის მოთხოვნილება აიძულებდა მცხოვრებს ჭინახულის გაყიდვას. ამიტომ ჭირნახულს ინახავდენ და რაც უფრო ძველი სიმინდი ან პური ექნებოდათ მით უფრო სასახელო იყო; ამას ეძახდენ ოჯახის დაზენგილებას. სამეურნეო იარაღიც ძრიელ მარტივი და ცოტა იყო საჭირო, მარტო თოხითაც შეეძლო თავის სარჩო დაემუშავებია გლეხს და კავ-სახნის-ხარ-ურმიან ოჯახს ათში ერთს ვერ ნახავდით. ასე მარტივათ მოყვანილ ჭირნახულით იკმაყოფილებდენ მაშინდელ მოთხოვნილებას. ან და რა იყო მაშინდელი მოთხოვნილება? საზრდო ხომ ყველას ოჯახში მოჰყავდა, ტანისამოსის მეტ ნაწილს შინ იქსოვ-იმზადებდენ. ცხოვრებდენ ძველ „ბოყვიან-ფუტიან“ სახლში, რომლის მოწყობილება—ავეჯი მეტათ სადა იყო: უბრალო ძელების ლოგინი და ზედ ჭილობი და შინაურებისთვის ძლიეს საყოფი საგებ-სახურავი; უბრალო ძელისავე სუფრა, კედელზე მიჭედილი „თარო“, რომელშიაც ინახებოდა ჯამ—ჭურჭელი, საჯდომათ ხის გამოჭრილი ჯირკვი—„ჯორკო“ და იშვიათათ სამფეხა სკამი; რამდენიმე დოქი, ქვაბი და სხ. თითქმის ყველა ეს, სახლი და უმეტესი ნაწილი ავეჯისა თითონვე შეეძლოთ გაეკეთებიათ. სტუმარი მოუვიდოდათ და აღვილათ, შინაურულათ გაუმასპინძლდებოდენ; გროში ფული არ დაეხარჯებოდათ. ცოტა ფული იყო საჭირო მხოლოთ წასაბურავ-მისალოცავათ, რადგან ამ შემთხვევებისთვისაც ცოტა რამ იყო საჭირო ისეთი, რასაც ფული უნდოდა. ფული იყო

[1]) ერთობ დიდათ საინტერესო უნდა იყოს იმის გაგება, თუ როგორ იცვლება ჩვენი სოფლის ცხოვრება და რა გზას ადგება იგი. აი, ამ კითხვას უსებს ეს წერილი, რომელიც დაწერილია ერთი ნიგოეთელი უსწავლელი სოფლის—კაცისაგან, აგტორი მუდამ სოფელში ცხოვრობს და თვითონ ყოფილა მოწმე იმისი, რასაც წერს. ‘ეშველოთ შეუცვლელათ.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭირო უმეტესათ და აუცილებლათ სახელმწიფო თუ სხვა გარდასახადებისათვის, მარა გადასახადიც ხომ ცოტა იყო. აი ამ მცირე გადასახადისათვის თუ სხვ. საჭირო ფულებს ადვილათ შოულობდენ ჭირნახულისა ან სხვა რამ შინაური ნაწარმოებით და თუ ვინმე, უფრო ხელმოკლენი ვერ იშოვიდენ შინ, მიდიოდენ ქირაზე რამდენიმე კვირაობით თუ თვეობით- წლიურათ ქირაზე არავინ მიდიოდა. მხოლოთ „ჯარიან“ ოჯახებიდან მიდიოდენ ქალაქებში „პოვარ-ლაქებათ“ და სარგებლობა მაინც და მაინც არაფერი მოჰქონდათ, მხოლოთ თავს ირჩენდენ.

შემდეგ ცხოვრება შეიცვალა, გართულდა, მოთხოვნილება გამრავლდა, ახლა საჭირო შეიქნა თითქმის ყველასათვის საცხოვრებლათ „ოდა“ ან და „სასტუმრო“ სახლი მაინც, საჭირო შეიქნა ძვირფასი და ბევრი სახლის მოწყობილება: რამდენიმე „კრაოტი“ (ჩვენ არ ვიხსენიებთ უფრო ძვირფას აევეჯებსა თუ ნივთებს, რომლებსაც მხოლოთ იშვიათათ შეხვდებით სოფელში, მეტადრე გლეხებში), ზედ ხალიჩა, ფარდაგი, რამდენიმე ხელი ქვეშსაგებ-სახურავი, როგორც შინაურთათვის ისე სტუმართათვის, ერთი ან ორი სტოლი, რამდენიმე „სელის“ ჩალის სკამი თუ არა „ტაბურეტკა“ მაინც, შკაფი, ლამპა, სტოლ-საფარი, სალფეტკები, საინები, ბოთლები და სხ. და სხვ.

როგორც ეხედავთ საჭირო აევეჯთა და ნივთთა რიცხვი გაორკეცდა, ხოლო ღირებულება წინანდელზე ათჯერ მეტია. ყველა ამისათვის ფულია საჭირო, თითონ გლეხი ერთსაც ვერ გააკეთებს. საჭირო შეიქნა რამდენიმე ხელი ტანისამოსი საშინაო და „საგარეო“, წმინდა და ძვირფასი და ამასთან არა შინ მოქსოვილ-გაკეთებული, არამედ უთუოთ ნაყიდი. გაძნელდა სტუმრის გამასპინძლება. გლეხს რომ სტუმარი მოუა თუ ახლო დუქანი აქვს უთუოთ პური და, თუ შინ არა აქვს, ღვინოც უნდა იყიდოს. რამდენიმე თავი „მოსაჭმელი“ (შეჭამადი) უნდა მიართვას და ბევრი ამათგანიც საყიდელი იქნება. მეტი ფული ჭირდება მილოცვა-წაბურვასაც, რადგან ქორწილსა და ტირილში ხარჯმა იმატა. თითოეულ ოჯახს ქორწილი ან ტირილი, რაც უნდა იშვიათათ შეხვდეს, ისე დასცემს, რომ რამდენიმე წელიწადი უნდა მის გამობრუნებას, „წელში გამართვას“ და ზოგი შეიძლება საუკუნოთაც წახდეს. დიდათ მოიმატა სახელმწიფო თუ სხვა გადასახადებმაც.

ამ გვარათ მოთხოვნილება გამრავლებულია და თითოეული ამ მრავალთაგანი გადიდებული. მაგრამ ეს მოთხოვნილება, ჩემი აზრით, პირველათ ჩვენი ცხოვრებიდან არ წარმომდგარა, არამედ მიბაძვით—გარედან შემოსული და ფორმალურია, ასე რომ ბევრ ამ მოთხოვნილებათაგანს და უკმაყოფილებლობას აიტანდა გლეხი (ვამბობთ გლეხი-ი იმიტომ, რომ გლეხობა შეადგენს უმეტეს ნაწილს მცხოვრებლებისას თვარა მსგავსსავე მდგომარეობაში იყო და არის სხვა წოდებათა უმრავლესობაც), რომ ის არ მორიდებოდა „სირცხვილის ჭამას“, „თავის მოჭრას“, ერთი სიტყვით ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას უმთავრესათ აიძულებდა სირცხვილი და თავის გამოჩენა. ამას სხვათა შორის (სიც ამტკიცებს, რომ გლეხი დიდი ტანჯვითა და ხარჯით იშენებდა სახლს, ოდას და თითონ ძველ „ფუტიან“ სახლში ცხოვრებდა, ოდაში კვირაში ერთ დღეს არ გაატარებდა. მაგრამ რაზედაც უნდა ყოფილიყო დამყარებული მათი მოთხოვნილება ეს კი მართალია. რომ მოთხოვნილება მწვავე და ძლიერი იყო. რითი უნდა დაეკმაყოფილებია გლეხს ეს? რასაკვირველია ფულით. რით ან სად ეშოვნა ფული? ქირა იმდენი არ იყო რომ ყველას ხვედროდა და თუმც ყოფილიყო ქირაზე ჩვეულებისა თუ სხვა მიზეზების გამო ყველა ვერ წავიღებდა. აქ მეტი ღონე არ იყო ეს ფული მეურნეობით უნდა ეშოვნათ და მცხოვრებთაც ხელი მიჰყვეს სიმინდის მოყვანის გაფართოებას. მაგრამ ეს გაფართოება ისე, რომ მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინათ ძნელი იყო, სამეურნეო იარაღის გაუმჯობესება იმ მოკლე დროში კი არა, ამდენ ხანსაც ვერ მოხერხდა. იარაღის გაუმჯობესება იმაში გამოიხატა, რომ თითქმის ყველამ შეიძინა თითოეული ხარი ან მისი მოწყობილება. ხარი ხომ მარტო თესვაზე იყო გამოსადეგი, ამიტომ აქ გლეხმა მიმართა ფიზიკურ ძალას, „უდიერ“ შრომას, დღე და ღამე გაასწორა, წელებზე ფეხი დაიდგა; ასე გაშინჯეთ რვა-ათი წლის ბავშვებიც-კი გაიყვანეს სამუშაოთ ყანაში, რაც წინეთ შეუძლებელი იყო. ამ „უდიერი“ შრომით წინანდელზე ბევრათ მეტი სიმინდი მოიყვანა, ასე რომ თუ წინათ 2—5 ქცევამდის ყანა ჰქონდა და მხოლოთ თავისი საყოფი სიმინდი მოჰყავდა, ახლა 5—12 ქცევამდის ყანა მოიყვანა და 100—500 ფუთამდის გასაყიდი სიმინდი შეიმუშავა. ამ დროს (დაახლოებით 80 - 85 წლებში) საბედნიეროთ სიმინდის ფასმაც მოიმატა. როცა ყანის მუშაობას მორჩებოდა გლეხი, მაშინ (ზამთრობით) ცოტ-ცოტა ქირაზე წასვლასაც შეეჩვია. საზოგადოთ ქირაზე წასვლა პირველათ ძალიან ეზარებოდათ, თუნდაც ქირას იმაზე მეტი მოეცა რამდენსაც შინ ყანის მუშაობა. აძლევდა. აი ამის მაგალითები ნიგოითის ცხოვრებიდან 1880 თუ 81 წელს გაიყვანეს ბათომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინის-გზა. ამ გზამ სოფ. ნიგოითში გაიარა. რასაკვირველია გზის გაყვანაზე ბევრი ქირა იშოვებოდა, მარა ნიგოითლები ისე მოუმზადებელი (ამასაც მომზადება ნდომებია) დახვდენ ამ ამბავს, რომ ფული მათზე მეტი სხვა სოფლების მცხოვრებლებმა იშოვეს. ამ დროს ნიგოითელები „მხოლოთ ეჩვეოდენ ქირაზე მუშაობას. რამდენიმე წლის შემდეგ ნიგოითშივე „ტყე გაიჭრა“. პირველათ ვერც აქ იმუშაევს, მაგრამ რადგან ეს ტყის მუშაობა რამდენსამე წელიწადს გაგძელდა, ბოლოს ისე შეეჩვიენ, რომ პირ-იქით ეხვეწებოდენ „პოდრაჩიკებს“ სამუშაო მოგვეცითო. მართალია გვიან შეიგნეს, მარა ამ მუშაობაში ფული მაინც კარგათ შეიძინეს. შემდეგ მცხოვრებლებს თითონვე აკლდათ გულს ამ შემთხვევის ხელიდან გაშვებაზე და ასე ამბობდენ: როცა ფული იშოვებოდა, ჩვენ არაფერი ვიცოდით და ახლა რაღა დროის არისო. ამ დროს სიმინდი კარგ ფასში იყო (ფუთი 50—70 კაპ.-მდის) და მოსავალიც ბევრათ მეტი ახლანდელზე, რადგან ტყე ახალ „გატეხილ-გაკაფული“ იყო და ამ „ნატეხში“ ანუ „უყში“, როგორც აქ უწოდებენ, კარგი მოსავალი იცის. ამ გვარათ შემოსავალი გლეხისა, შედარებით წინანდელთან და ეხლანდელთანაც, დიდი იყო. ამ შემოსავალით „შეხურებულებმა“ „გამოჭიმეს“ ოდები (ზოგმა ორიც), მაგრამ ისევ ჩქარა იკლო ამ შემოსავალმა და ოდის დაბოლოვება ყველამ ვერ მოასწრო და მხოლოთ „გამოწყებული“ დაურჩათ. ამ რამდენისამე წლის წინეთ ბევრს ნახავდით ამისთანა გამოწყებულ სახლებს: უბუხრო, უფანჯრო და საბუხრეზე ძელებ აფარებულს და ფანჯრებზე ქაღალდ გაკრულს. ახლა კი ასე აღარ არის. ზოგმა დიდი ვაი-ვაგლახით გააწყო და ზოგმა გაყიდა ნახევარ ფასათ. გაიარა ამ მეურნეობის აყვავების დრო. ამ სამი-ოთხი წლის წინეთ მიწის გამოფიტვის, თუ სხვა მიზეზების გამო-იკლო მოსავალმა, იკლო აგრეთვე სიმინდის ფასმაც. ყველამ-განურჩევლათ წოდების და შეძლებისა—იგრძნო ნაკლებობა; ერთი სიტყვით დადგა საერთო ეკონომიური კრიზისი. ამან ყველა დაფიქრა. ყველა ახალ ეკონომიურ სახსარს ეძებს. ვინც მდიდარია ხელს ჰკიდებს ვაჭრობას (პირველათ უფრო „ფეხზე ვაჭრობას“), „პოდრიადჩიკობას“, მეღორეობას, ფრინველების მოშენებას და სხვა. ღარიბებიც, რასაკვირველია, ბევრს ფიქრობენ, ოცნებობენ, მარა რადგან ეკონომიური ღონე არ შეწევთ რამე საქმეს ხელი მოჰკიდონ, სხვა გზა აღარ დარჩენიათ გარდა დღიურ მუშათ წასვლისა. საერთოთ ყველასთვის ხელმისაწვდომი აქ მხოლოთ მეაბრეშუმეობა დარჩა ᲦᲐᲘ, ამ მეურნეობის დარგს მოჰკიდეს ხელი. მართალია აბრეშუმი წინეთაც მოჰყავდათ, მაგრამ ძალიან ცოტა. წინათ მეაბრეშუმეობა მარტო ქალების საქმე იყო, ახლა კაცებიც ჩაერიენ ამ საქმეში. ქალები ისე გაეჩვიენ შრომაში, რომ შემდეგში იმედია დედაკაციც ცხარე მონაწილეობას მიიღებს ეკონომიურ ბრძოლაში. რაკი სიტყვა ჩამოვარდა დედაკაცის შრომის შესახებ, ამიტომ ორიოდე სიტყვას ამათზედაც ვიტყვით. წინათ სანამ ჩვენი ცხოვრება „გაქალაქდებოდა“, დედა-კაცს ბევრი საქმე ჰქონდა ოჯახში. გარდა საოჯახო ყოველ დღიური საქმეებისა, ქალი ოჯახის წევრთა საყოფ ტანისამოსს, მატყლეულსა და ბამბეულს, ქსოვდა და თითონვე ჰკერაედა. შემდეგ, როცა „ქვეყანა გაქალაქდა“, საზოგადოებაში ის აზრი დატრიალდა, რომ ქალების წინანდებური შრომა სირცხვილიაო, „მატყლის ბრუშნას“ (ჩეჩვას) და ღომის ცეხვას რაღა იკადრებს პატიოსანი და ეარგებული ქალიო. ასე გაშინჯეთ სასიძონი პირობას აძლევდენ ქალის მშობლებს, შენ ქალს ღომი არ გავაცეხვიო, ყანაში სადილი არ წავაღებიო და სხ. ამ აზრის გამაერცელებელი და მაგალითის მიმცემი, რასაკვირველია, მაღალი საზოგადოება (თავად-აზნაურობა და სამღვდელოება) იყო. გლეხის ახალ-გაზდა—„კარში გახედულ“ ქალებისთვის ეს სასიამოვნო შეიქნა, რადგან ამათ ბედნიერება მიეცათ ვითომ გასწორებოდენ მაღალ საზოგადოების უსაქმურ ქალებს. ვინც ამ საზოგადო აზრს გაჭირვების თუ სხვა მიზეზების გამო წინააღუდგენ, მათ სხვა დაბრკოლება შეხვდათ. ფაბრიკულმა ნაწარმოებმა სიიაფითა და სილამაზით კონკურენცია გაუწია შინაურ ნაწარმოებს და ყველგან დაამარცხა. დადგა ხანა ქალების უსაქმურობისა, ხოლო მათი კერძო (ტანისამოსის) მოთხოვნილება გადიდდა. შემოიტანდა თუ არა ახალ მოდას სოფელში ვინმე მაღალი საზოგადოების ქალი, გლეხის ქალი თუ ცოლი გადაეკიდებოდა ძმასა ან ქმარს, მეც ისეთი უნდა მიყიდოო და სანამ არ უყიდდა სიცოცხლეს გაუმწარებდა. ხშირათ შეხვდებოდით ცოლს რამდენიმე კაბით, ქმარს კი უჩოხოს, ცოლს „პოლსაპოშკი“-ანს, ქმარს ქალამნიანს. მამაკაცი დიდ პროტესტს უცხადებდა (უფრო ფარულათ) ამ ქალების გაბატონებას, მარა რა ექნა? მოგეხსენებათ, მაღალი საზოგადოება დიდ პატივს სცემს ფორმალურათ დედაკაცს და ამავე აზრს დაემორჩილა გლეხ-კაცობაც. ასე იყო ამ რამდენისამე წლის წინეთ. ახლა კი რამდენიმეთ შეიცვალა. როცა კარგი შემოსავალი იყო სიმინდისა თუ სხვა ჭირნახულისაგან მაშინ ოჯახი უძლებდა ქალების ამ უსაქმურობას და მეტ

მოთხოვნილებას, მაგრამ ამ უკანასკნელ წლებში, როცა თითქმის საერთო სიღარიბე ჩამოვარდა, ქალი იძულებული გახდა თავის რჩენისთვის განძრეულიყო. ოჯახში, გარდა მეაბრეშუმეობისა ხელსაყრელი საქმე არაერთარი იყო ქალებისთვის და მათაც ამას ხელი მოჰკიდეს და არა მარტო გლეხის ქალებმა არამედ თავად აზნაურთა და სამღვდელოების ქალებმაც. ამ გარემოებამ უფრო წაახალისა გლეხის ქალები. ღარიბი გლეხთა ქალებისთვის საკმაო არ იყო მეაბრეშუმეობა. ეს მომგებიანი, მარა მოკლე ვადიანი საქმე იყო. ისინი დღეს მზათ არიან ფულის საშოვნელათ ოჯახსაც მოცილდენ, მარა ჯერ ჩვენში არ არის ისეთი სამუშაო არც ქალაქში და არც სოფელში, რომ ქალები გამოდგენ. ქალაქებში თუ იშოვება უფრო საძიძავი, სასამსახურო ადგილები და ამას „სანთლით ეძებენ“ სოფლის ქალები. ღარიბი ოჯახების ქალები დღიურ ქირაზე გასელასაც არ თაკილობენ ახლა. გასულ წლებში ნიგოითსა და ლანჩხუთში პარკის მოვაჭრეებს მუშა ქალები დაჭირდათ პარკის გადასარჩევათ და თითქმის მთელი სოფლის ქალები მოდიოდენ და იხვეწებოდენ სამუშაო მოგვეცითო. მერე იცით რამდენს იღებდენ ქირას? დილიდან დაბნელებამდის (14—15 საათს) შეუჩერერებელ შრომაში დღეში იღებდენ მხოლოთ აბაზს. აი, ასეთი ყოფილა ახალის ცხოვრების ძლიერება, მისი ტალღები ისე დაეჯახა ჩვენი სოფლის ცხორებას, რომ ოჯახის კერა—ქალიც-კი შეარყია და გარეთ გაიყვანა ფულის საშოვნელათ, თავის სარჩენათ.

(დასასრული იქნება)

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. მთავრიშვილმა ჩვენგან „კვალში“ მოწერილი ამბავი, სეხაგში წასვლის შესახებ, ბოლოთ ლიარა და კორესპონდენტს ტალახის სროლა დასწამა, „კვალის“ კორესპონდენტის მოწერილი ამბავი „ქუჩაში“ გაგონილიაო, გამცინავს ის „ივერიის“ ფურცლებზე. თქვა დაბოლოვილო, განა მინისტრ-პრეზიდენტი ბრძანდებიო, რომ საუდენციოთ კაბინეტში გაესვლოსთ კორესპოდენტი?! განა თქვენ არ იცით, რომ უმადლეს მოდგენებზედაც კი იტუკით სოლმე: ამბობენ ამანა და ამან ასე ჩაიდინაო. ასეთი „ქუჩაში“ გაგონილი ამბავი ტელეგრამებიოთ კი ხშირათ გადასცემთ ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში. გაზეთებს ძალიან დაეკვირდით და მაშინ გაიგებთ რა არის „გაგონილი“. კორესპოდენტი მოვალეა აწონ-დაწონოს გაგონილი ამბავი, გაითვალისწინოს თქვენი მოდგენობა, თქვენი სიტყიელი, მოქალაქეობრიობა, უველა ეს შეუფარდოს, შეუწონოს, „ქუჩაში“ თქვენზე გაგონილ ამბავს და თუ დარწმუნდება, რომ შესაძლებელია ამა და ამ ფიზიანომიის კაცმა ესა და ეს ჩაიდინოს, იმ შემთხვევაში აუწყებს საზოგადოებას, მაგრამ მაშინაც არა, როგორც ფაქტს, არამედ, როგორც გაგონილ ამბავს. ასე მოიქცა თქვენი უმორჩილესი მონაც. დარწმუნებით არ შემიძლია ვთქვა მაინცა და მაინც, უ—ნმა ვითომ დაგაუნაოთ ლოდიკურ გზაზე, იქნება თქვენ თითონ მოგვიგიდათ ეს ამბავი, იქნება სხვა ვინმეს გიგრძია, იქნება საზოგადოება ოხუნჯობდეს კიდეც თქვენზე, მაგრამ, ვიმეორებ, კორესპონდენტს ნება ჰქონდა, რომ ამ სავსებით გაითვალისწინებდა თქვენ ორგანოებს—„კი“ „არა“—ობას, უდოდიკობას სენაკის სკოლის ისტორიაში, შესაძლებელია ეცნო ამ ამ ბის ბეშმარიტება. დამეთანხმეთ, თქვენც [illegible] ლი მიგიძღვიოთ სენაკის სკოლის წინაშე! „მე ი[illegible] არ მივალ სენაკშიო“,—თქვით თქვენ ამას წინეა[illegible] ჩაში“,—რომ ჩემი იქ წასვლით მოგინდურებ ის[illegible] ებს, რომელთა დიდი სიყვარული და პატივისცემა მაქვს. ესეც ჩემ იმ წეველ ქუჩაშია გაგონილი! თუ ამას [illegible] ჰყოფო, მოწმეებს დაგისახელებთ. საზოგადო საქმე და კერძო სიმპატია ანტიპატია!

დასასრულ დიდი მადლობა, ბ. მთავრიშვილო, კორესპონდენტის მოვალეობის აღსანისათვის, მხოლოთ „კვალის“ კორესპონდენტი გთხოვთ, ნუ დაიწყებთ უარადო მოქალაქის მოვალეობას, საზოგადო საქმეს ნუ ანატვალებთ კერძო პირებს; თუ ქვეყნის სამსახური მოითხოვს, უარჰყავით პირადი სიმპატია-ანტიპატია და დამერწმუნეთ ძვირათ თუ ვინმე ტალახს გესვრით და მით უმეტეს ჩვენი ბანაკიდან.

ქუთაისელი კორესპოდენტი „მანუჩარი“.

საქველ-მოქმედო საქმე

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთი „კვალის“ საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადო ქვემო აღნიშნულ პირთ, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი და შემოსწირეს გაბრიელ ეპისკოპოზის სახელზე სტიპენდიის დასაარსებელ ფონდის სასარგებლოთ 24 მანეთი, რომელსაც ამასთანავე გიგზავნით კომიტეტის გარდასტეშეთ [1]). სია შემომწირველთა. ორ ორი მანეთი: მასწავლებელმა სტ. სასიამ და მღვდელმა იოანე ქავკარაძემ. თითო მანეთი: მ. დ. ვასაძემ, მასწავლებელმა თავ. ბეს. ემუხვარმან, მასწავლებელმა კონ. მიჯგანაძემ, მასწავლებელმა პეტრე ჯარაიამ, მღ. იესე ყორდანიამ, აზნ. ვასილ ყორდანიამ, მღ. ზოსი. ჩხეტიამ, მღ. ესტ. გოგოხიამ, მღ. ნ. ქავთარაძემ, მღ. სპირ. რურუამ, მღ. რომ. ჭალაკანიძემ, მღ. დეკა ობოლაძემ, მღ. სიდ. თოფურიძემ, მღ ანდ. მასხარაშვილმა, მღ. ბერ. მკავანაძემ, მღ. ბავლე ასათიანმა, მღ. სიმ. თოლორაიამ, მღ. დავ. მასხულიამ, ბროკიზორმა გრი. კანდელაკმა, სულ 24 მ.

ბლაღოჩინი—მღვდელი იოანე ქაქარაძე.

[1]) ეს ფული რედაქციაშია და უმორჩილესად. გთხოვთ კომიტეტს გვაცნობონ თუ კის გადავცეთ ეს უმოსსენებული 24 მანეთი. რედ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. цена. Тифлисъ, 28 Августа 1899 г. Тип. Т. М. Ротиніянца—სტამბა ტ. მ. როტინიანცისა. Год. пр. д. № 41.